ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.3

ირაკლი კობახიძე: „ნინო ჯანგირაშვილი და თამთა მურადაშვილი კონკრეტულ პარტიულ ინტერესებს ატარებენ“

16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

ეს მე ვარ, ფიროსმანი





ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

შაბათი – კვირა, 17 – 18 თებერვალი, 2018

№40 (7585)

ფასი: 50 თეთრი

# „ივანიშვილის და მარგველაშვილის დაპირისპირება ფარსია“



გვ.2

„აშშ-ის დაზვერვის შეფის განცხადებას აუცილებლად მოჰყვება მაფიოზების და მეჯღანუაშვილების ანგარიშების გაყინვა. ავტომატურად მოხდება მათი ქონების დაყადაღება. დამიჯერეთ, აშშ-ის დაზვერვას განცხადება შემთხვევით არ გაუკეთებია. გაგახსენებთ კონგრესმენ სტივ რასელის განცხადებებსაც. მან უკვე ორჯერ მოითხოვა ივანიშვილის ანგარიშების გაყინვა"

## „გიორგი მარგველაშვილი ნომერ პირველი ამოუცნობი ამოცანაა“



გვ.2

სოსო ცინცაძე: „დღეს „ოცნებაში“ ფულზე ლოცულობენ“

## „აჭარაში ნაციონალები „ოცნებას“ ეკაიფებიან“

გვ.3



ჯელალ ქიქავა: „ვიღაცას ცოლი იტალიელმა რომ დოუკეროს, ევროკავშირში შევალთ?“

## „საპენსიო რეფორმა შედეგს მოიტანს, თუ სწორად გატარდება“

დემურ გიორხელიძე: „არ უნდა დარჩეს შავი ხვრელები, რომლებიც ფინანსურ ჯგუფებს ამ ფულზე კონტროლს დაამყარებინებს“

გვ.5





გვ.4

## გიორგი თევზაძე: „ადვოკატის უფლებები დაცული არ არის“

ეკონომიკა

გვ.6



ირაკლი კოვზანაძე: ჩვენ გვჭირდება სწრაფი და ფუნდამენტური რეფორმები და ერთ-ერთი ასეთია საპენსიო რეფორმა

დეველოპერებისთვის ახალი ვალდებულებები 22 თებერვლიდან ამოქმედდება





„საგზაო დეპარტამენტში ნეპოტიზმი და კორუფციაა“

ISSN 1987-9385

**8** ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ლიდერი ხდება?

**4** ნათია კუპრაშვილი: „2015 წლიდან, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს კომერციული რეკლამა შეეზღუდა, დაიწყო ტელევიზიებში რეკლამის მატების ტენდენცია“

**3** თეთრმა სახლმა რუსეთი კიბერშეტევაში დაადანაშაულა

**5** „ილებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს“ — სად და როგორ ამზადებენ ექიმებს საქართველოში?

ნათია ხურცილავა

# „გიორგი მარგველაშვილი ნომერ პირველი ამოუცნობი ამოცანაა“

## სოსო ცინცაძე: „დღეს „ოცნებაში“ ფულზე ლოცულობენ“

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს დღეს ოპოზიციასთან თანამშრომლობა არაფერს მოუტანს და, რომ მან პოლიტიკური კარიერა ამ ეტაპისთვის დაასრულა. თქვენ ეთანხმებით ამ პოზიციას?***

– გიორგი მარგველაშვილი დღემდე ნომერ პირველი ამოუცნობი ამოცანაა. არავის წარმოდგენა არ აქვს მის სამომავლო გეგმებზე და მე არ გამოვრიცხავ, რომ თავად პრეზიდენტ მარგველაშვილსაც დღეს წარმოდგენა არ ჰქონდეს, რას აპირებს ის სამომავლოდ. მომავალზე საუბარი მხოლოდ იმ ადამიანთან შეიძლება, რომელსაც აქვს მოქმედების გეგმა. დღეს პრეზიდენტი მხოლოდ თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს და ამ ფუნქციით არის დაკავებული. დღეს მარგველაშვილისგან ვერაფერს გავიგებთ, თუ რას აპირებს ის სამომავლოდ.

***– რატომ?***

– ვფიქრობ, თავადაც ორჭოფობს და გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული.

***– მან თქვა, რომ პრეზიდენტობა მისთვის ტვირთია.***

– როგორც ჩანს, მართლაც დიდი ტვირთი აღმოჩნდა მისთვის პრეზიდენტობა. ბუნებით თავისუფალი, ლაღი კაცია და ამ ჩარჩოებს ვერ ეგუება. ის უფრო თეორეტიკოსია, მაღალი დონის თეორეტიკოსი, ვიდრე პრაქტიკოსი. თუმცა, მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკაზე მან უარი არ თქვას.

***– არ გამორიცხავთ, რომ გარკვეული ტაიმ-აუტი აიღოს?***

– დიახ, ალბათ უფრო დროებით გაემიჯნება პროცესებს და შემდეგ თუ მოუნდება, ისევ შემოვა პოლიტიკაში.



დღეს მისი მესიჯი სხვა ანალიზის საფუძველს არ იძლევა.

***– ოპოზიციაზეც მინდა გკითხოთ.***

– ორკაციანი პარტიები და მათი ვითომ ლიდერები არანაირ ინტერესს არ წარმოადგენენ. ერთადერთი, ვისზეც შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკოსია, ნინო ბურჯანაძეა. ნაციონალურ მოძრაობას კი ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს მხარდამჭერები შემოეცალონ. არავინ იცის თუნდაც სააკაშვილის სამომავლო გეგმები.

რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს“, მასთან კითხვის ნიშნები არის და ამ კითხვების ადრესატი არის უგულავა. სიმართლე გითხრათ, მე მეგონა, რომ უგულავა გასცემდა თუნდაც იმ კითხვას პასუხს, რაც „სითი პარკს“ უკავშირდებოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად.

ოპოზიცია, ამ ცნების კლასიკური გაგებით, დღეს ჩვენ არ გვყავს. დღეს ეს ოპოზიცია ბევრად უფრო ნაკლებად ქმედითუნარიანია, ვიდრე რევოლუციის პირველ პერიოდში შვეიცარიაში გადახვეწილი ლენინი, ტროცკი და მისი გუნდი იყვნენ. ისინი ბიბლიოთეკაში მაინც დადიოდნენ, წიგნებს კითხულობდნენ და გერმანელებთან მაინც „ჩალიჩობდნენ“. ჩვენი ოპოზიციის მთელი ავან-ჩავანი რა არის?! მმართველი გუნდის კრიტიკა, რომელიც არც ისე კვალიფიციურია და რომელიც არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის.

რეალური ოპოზიციის მთავარი ძალა რაშია? რომ მასში ამომრჩეველი, მოქალაქეები ხელისუფლების ალტერნატივას ხედავენ. დღეს ამ ოპოზიციაში ყველაფერი შეიძლება დაინახო, გარდა ალტერნატივისა.

***– იქნებ ალტერნატივა თავად „ქართული ოცნების“ გაყოფაშია?***

– ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. ეს გამორიცხულია.

***– რატომ? თავის დროზე ასე გამოეყო მოქალაქეთა კავშირს ნაციონალური მოძრაობა, სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე.***

– დიახ, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ თქვენ დაასახელეთ ის გვარები, რომლებმაც შექმნეს და რომლებმაც დააყენეს ეს რეალობა. აბა დაასახელეთ „ქართულ ოცნებაში“ დღეს მსგავსი გვარები.

***– თქვენ ამბობთ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ლიდერები არ არიან და, შესაბამისად, ასეთი გამოყოფაც შეუძლებელია?***

– დიახ, სწორედ ასეა. დღეს ვინ გამოეყოფა „ქართულ ოცნებას“?! რომელი მათგანი. მაშინ საქმე გვქონდა ამბიციურ ახალგაზრდათა ჯგუფთან, რომლებიც ამერიკელებთან იყვნენ კარგად და მათ დაარწმუნეს ამერიკა, რომ ისინი ამას შეძლებდნენ. მათ მაშინ მატერიალური კეთილდღეობა, ფული არ აინტერესებდათ, ისინი იდეის გარშემო იყვნენ ერთიანი.

დღეს ასეთი არც იდეაა და არც ის, რომ „ქართულ ოცნებაში“ მყოფებს ფული არ აინტერესებდეთ. დღეს „ოცნებაში“ ფულზე ლოცულობენ. აბა ამდენი პრემიები, ამდენი კომფორტის სიყვარული სხვა რა არის?! ამბიციური ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა მიზანიც არის უკეთეს სამშობლოში ცხოვრება, მე იქ არ მეგულება.

მაშინ უფრო პიროვნებებთან გვქონდა საქმე. ჟვანია პიროვნება იყო, ნამდვილი ლიდერი, პიროვნება იყო სააკაშვილი, ლიდერი, იგივე ბურჯანაძე. დღეს ვინ არის პიროვნება და ლიდერი „ოცნებაში“?! „ოცნება“ უფრო მასაა, ვიდრე ლიდერთა ერთობა. ერთფეროვანი მასა.

***– შეიძლება ამის მიზეზი თავად ლიდერი, ბიძინა ივანიშვილია, რომლის ფრთის ქვეშაც არანაირი ლიდერის წარმოქმნა არ მოხდება?***

– გეთანხმებით, რასაკვირველია. თქვენ ამბობთ, რომ ლიდერი არის ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ მე ასე ვერ ვიტყოდი. არ არის ივანიშვილი კლასიკური გაგებით ლიდერი და აგიხსნით, რატომ: ლიდერს აქვს ამბიციები, ის იბრძვის მეტისთვის. ივანიშვილს, როგორც ლიდერს, პოლიტიკოსს არანაირი ამბიციები არ აქვს, პირიქით, შეიძლება ითქვას, სრულიად უამბიციოა ამ კუთხით. სად გაგონილა, რომ პოლიტიკოსმა თქვას გავიმარჯვებ და ერთ წელიწადში წავალ პოლიტიკიდანო. აქ სად ჩანს ლიდერის ამბიცია?! ასეთი რამე ხომ არ მომხდარა პოლიტიკის ისტორიაში.

ოპოზიციას რომ დავუბრუნდეთ, მე ვერც იმას დავიჯერებ, რომ ეს ოპოზიცია გაერთიანდეს და რამეზე შეთანხმდეს ეს უბრალოდ გამორიცხული მგონია. ყველას ურჩევნია, თავის ორკაციან პარტიაში იყოს პირველი, ვიდრე ათას კაცში მესამე კაცი იყოს. ეს არის ეგოისტური მიდგომა, რაც აზიანებს პირველ რიგში მათ და შემდეგ ქვეყანას.

# „ივანიშვილის და მარგველაშვილის დაპირისპირება ფარსია“

## ბეჟან ნათელაშვილი: „თბილისი გახდა ზებრისა და ბიძინას ქალაქი“

შორენა მარსაგიშვილი

**რა საფრთხე ემუქრება ივანიშვილის ქონებას, რას აცხადებს აშშ-ის დაზვერვა „ქართული ოცნების" ქმედებებზე, როგორ ჩამოერთვა თბილისს ხოხბისა და გორგასლის ქალაქის სტატუსი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.**

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– რამდენიმე დღის წინ, აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორის დენიელ კოუტსის ანგარიში გამოქვეყნდა, სადაც გლობალურ საფრთხეებზეა საუბარი. ანგარიშში საქართველოც არის ნახსენები. ამ ანგარიშის თანახმად, 2018 წელს საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ კვლავ რუსეთის მხრიდან ქვეყნის რეგიონების ოკუპაცია და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელისშეშლა რჩება.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, ეცდება ოპოზიციის ჩიხში მოქცევას და ძალაუფლების ინსტიტუციური შეზღუდვების შემცირებას.

ძალიან კარგია, რომ აშშ-ის დაზვერვამ „ქართული ოცნების“ ნამდვილი სახე დაინახა. საქართველოს მოსახლეობამ და ნამდვილმა ოპოზიციამ ამ ურჩხულის ნამდვილი სახე გაცილებით ადრე დაინახა.

აშშ-ის დაზვერვა რად უნდა იმის დანახვას, რომ დღეს პოლიტიკიდან პოლიტიკოსები არიან გაძევებული. საქართველოს სახელმწიფოს საჭე ტიპურ მეჯლანუაშვილებს აქვთ ხელში ჩაგდებული. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ოპონენტები მოაშთონ.

ამ ყველაფერს სათავეში უდგას ბიძინა ივანიშვილი, მან საქართველოში მეჯლანუაშვილთა და საბანკო დიქტატურა დაამყარა.

***– თქვენი აზრით, აშშ-ის დაზვერვის შეფის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, „ოცნება“ ოპონენტების მიმართ პოლიტიკას შეცვლის?***

– ამის დიდი სურვილი არა აქვთ, მაგრამ აუცილებლად მოუწევთ პოლიტიკის შეცვლა. აშშ-ის დაზვერვის შეფის განცხადებას აუცილებლად მოჰყვება მაფიოზების და მეჯლანუაშვილების ანგარიშების გაყინვა. ავტომატურად მოხდება მათი ქონების დაყადაღება.

დამიჯერეთ, აშშ-ის დაზვერვას განცხადება შემთხვევით არ გაუკეთებია. გაგახსენებთ კონგრესმენ სტივ რასელის განცხადებებსაც. მან უკვე ორჯერ მოითხოვა ივანიშვილის ანგარიშების გაყინვა.

***– ფიქრობთ, რომ რასელის განცხადება და აშშ-ის დაზვერვის შეფის ანგარიშში რაიმე კავშირშია ერთმანეთთან?***

– კი არ ვფიქრობ, ამაში დარწმუნებული ვარ. აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ პირებს შეუქმნას პრობლემები, ვინც საქართველოს მოსახლეობას უმწარებს ცხოვრებას. აქამდე ხომ ჩვენ ვიტანჯებოდით, ახლა მეჯლანუაშვილები დაიტანჯებიან.

საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ამერიკელ კონგრესმენებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ჩვენი პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად რა უთხრა ნათელაშვილმა კონგრესმენებს?***

– სიმართლე უთხრა. ესაუბრა იმათზე, ვინც დღეს ქვეყანას მართავს. განსაკუთრებული ყურადღება იმ ხალხზე გაამახვილა, რომლებმაც წლების წინ ხალხის ანაბრები მიითვისა. ჩვენი ბებიების და პაპების ანაბრების ქურდებს ახლა ბანკები აქვთ გახსნილი და ხალხს ახრჩობენ. იმის მაგივრად, რომ მოსახლეობას ვალები დაუბრუნონ, მათ სახლებიდან ასახლებენ. ამ ყაჩაღებმა ნახევარი საქართველო ქუჩაში დატოვეს. დადგება დრო და ესენი



სამუდამო პატიმრობის მუხლით წავლენ ციხეში.

***– ეს ხალხი რომ ციხეში წავა, ამის გულწრფელად გჯერათ?***

– ხელისუფლებაში თუ ლეიბორისტული პარტია მოვა, მაშინ ნამდვილად წავლენ. მეჯლანუაშვილებმა კარგად იციან, რომ ამას გავაკეთებთ და ამიტომ დაუნანებლად ხარჯავენ ფულს ჩვენი პარტიის ანტიპიარზე.

საქართველოში საბედნიეროდ კიდევ არიან ძალები, რომლებთანაც თანამშრომლობა შეიძლება. გასულ წელს შეიქმნა ლიდერთა საბჭო და ამ გაერთიანებაში შემავალ პარტიებს ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია.

***– მოსალოდნელია თუ არა თქვენი გაერთიანება?***

– ამ შემთხვევაში გაერთიანებაზე საუბარი არაა, მაგრამ ჩვენ კოორდინირებულად შეგვიძლია მეჯლანუაშვილების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა შევიმუშაოთ.

გიორგი მარგველაშვილიც ფაფხურობს რაღაცას, მაგრამ მეეჭვება რამე გააკეთოს. ეგ ის კაცია, ვინც ბიძინას პრეზიდენტის ინსტიტუტი გააუპატიურებინა და ახლა ტყუილად ნუ იქაჩება.

***– სად და რაზე გაიქაჩა?***

– ვეტოების დადება გაქაჩვაა, აბა რა არის, თან ტყუილი გაქაჩვა.

***– ტყუილი გაქაჩვა რატომ არის ვეტოს დადება?***

– როცა იცი, რომ პარლამენტში არის საკონსტიტუციო უმრავლესობა და ამ ვეტოს უპრობლემოდ დაძლევენ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „აჭარაში ნაციონალები „ოცნებას“ ეკაიფებიან“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება აჭარაში, ბრუნდება თუ არა ასლან აბაშიძე, რა საქმეები მოაგვარა ბათუმში გროზნოს მერმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპები 21-ე საუკუნის" ხელმძღვანელი, ჯელალ ქიქავა, ესაუბრება.

## ჯელალ ქიქავა: „ვიღაცას ცოლი იტალიელმა რომ დოუკეროს, ევროკავშირში შევალთ?“



***– გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმის საკრებულომ კენჭი უყარა 6 მაისის სახელობის სკვერისთვის სახელის გადარქმევას. ამბობენ, რომ მას ასლან აბაშიძის სახელი უნდა მიანიჭონ. მართალია ეს ინფორმაცია?***

– ინფორმაცია 6 მაისის სკვერისთვის ასლან აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა, სკვერისთვის სახელის გადარქმევის საკითხი საკრებულოს დღის წესრიგში მართლაც დადგა.

***– ვინ დააყენა დღის წესრიგში ეს საკითხი?***

– ვინ და ნაციონალებმა.

***– ხუმრობთ, ბატონო ჯელალ?***

– როგორ გეკადრებათ, ზედმეტად სერიოზულიც კი ვარ.

***– ნაციონალებს რატომ უნდა დაეყენებინათ ეს საკითხი?***

– ბათუმის საკრებულოს სხდომაზე 6 მაისის სახელობის სკვერზე მიმდინარეობდა საუბარი. ნაციონალების ფრაქცია გამოვიდა წინადადებით, ბარემ დავარქვათ ამ სკვერს ასლან აბაშიძის სახელიო. სხვათა შორის, „ოცნებამ“ ამ ინიციატივას კენჭი უყარა.

ბათუმში არც სკვერსა და არც პარკს ასლან აბაშიძის სახელს არავინ დაარქმევს და ეს საკითხი ჩავარდა.

***– თუ იცოდნენ, რომ ეს საკითხი ჩავარდებოდა, რატომ დააყენეს კენჭისყრაზე?***

– იმიტომ, რომ უნიჭოები და უტვინოები არიან. იმასაც კი ვერ მიხვდნენ, ნაციონალები რომ წაეკაიფნენ.

***– რას ნიშნავს წაეკაიფნენ?***

– იმას, რომ წაეკაიფნენ. „იმენნა“ ეკაიფებიან ნაციონალები „ოცნებას“. 5 კაცი ეკაიფება 20 კაცს. ტიპებმა იღადავეს, ბარემ ასლან აბაშიძის სახელი დავარქვათო და ამათ კენჭისყრაზე დააყენეს ეს საკითხი. ხოხმაა, რა!

***– ამბობენ, ასლან აბაშიძე აჭარაში გავლენებს იბრუნებსო. ამაზე რას გვეტყვით?***

– არ არის მართალი. 80 წლის კაცმა რაის პოზიციები უნდა დაიბრუნოს. ესეც მოგონილი ამბავია.

***– ესეც ნაციონალებმა მოიგონეს?***

– მთლად მასეც არ არის. ეს ინფორმაცია ჩვენ გავაღვივეთ და შევაგდეთ ხალხში.

***– რა მიზანს ემსახურებოდა ამ ინფორმაციის გაღვივება?***

– „ოცნებამ“ საკრებულოსა და მერიაში აბაშიძის ხალხი დაასაქმა. ამიტომ გავავრცელეთ ეს ინფორმაცია, თორემ რაის დამბრუნებელია ასლანი? ბებერი კაცია და აჭარა აღარც აინტერესებს. მისთვის მთავარია, აქ ნაშოვნი ფული ჭამოს მშვიდად.

***– იმის ალბათობა თუ არის, რომ აბაშიძე ბათუმში დაბრუნდეს?***

– ამასაც გამოვრიცხავ, მაგრამ, თუ ჩამოვა, არც ეგ მგონია პრობლემა.

***– პირადად თქვენ როგორ შეხვდებით მის დაბრუნებას? გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ მის წინააღმდეგ იბრძვით.***

– მის დაბრუნებას ძალიან ცუდად შევხვდები. თავის დროზე მაგის დავალებით მოხდა ჩემს სახლზე თავდასხმა, სადაც ჩემი ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. ამაზე აუცილებლად გავცემ პასუხს.

დაბრუნების შემთხვევაში ვერაფერს იზამს. თქვენ რა გგონიათ, 2004 წლამდე შვრებოდა რამეს? მას პოზიციებს ბათუმში არსებული რუსული სამხედრო ბაზა უმაგრებდა. ისიც ზღაპარია, რომ აბაშიძემ არ შემოუშვა მხედრიონი. მხედრიონი არ შემოუშვა რუსულმა ჯარმა. ჩოლოქი გადაკეტილი ჰქონდა იმგენს. მათვე შექმნეს მითი აბაშიძეზე – ასლან დაუმარცხებელი. ეგ ყოველთვის პარიკმახერების უფროსი იყო და ბოლომდე პარიკმახერების უფროსად დარჩა.

***– პარიკმახერების უფროსობის კვალობაზე ძალიან დიდი ქონება დააგროვა ამ კაცმა.***

– ფული მართლა იშოვა, მაგრამ არც ფულია დიდი რამე. იმდენი მდიდარი კაცის ქელეხში ვარ ნამყოფი, სათვალავი ამერია.

***– მოდით, ასლან აბაშიძეს თავი დავანებოთ და სხვა საკითხებზე გადავიდეთ. რამდენიმე კვირის წინ ბათუმს გროზნოს მერი სტუმრობდა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. თქვენი ინფორმაციით, რა მიზნით იმყოფებოდა ის საქართველოში?***

– ჩვენ გვიან გავიგეთ, რომ ეს კაცი აქ იყო ჩამოსული, თორემ სათანადო პასუხს გავცემდით. გროზნოს მერი არის ჩვენი მტერი და მას ქართულ მიწაზე ფეხი არ უნდა დაედგა. რაც შეეხება მისი ვიზიტის მიზანს, რაღაც ბიზნესინტერესები აქვს.

***– ხომ არ იცით, კონკრეტულად რა ბიზნესზეა საუბარი?***

– კონკრეტულად რა ბიზნესს დაადგა თვალი, ვერ გეტყვით, მაგრამ, საქართველოს მიმართ რომ დიდი ინტერესი აქვთ, ეს ფაქტია. აქეთკენ სანქციებმა გამოახედა. ევროპაში მაგენი ფულს ველარ შოულობენ და მოასკდნენ საქართველოს.

ევროპისგან განსხვავებით, აქ უპრობლემოდ შემოაქვთ უკონტროლო ფული. დიდი რაოდენობით უკონტროლო ფულია საქართველოში შემოსული. მოკლედ რომ გითხრათ, საქართველოში რუსეთის მოქალაქეები ფულს ათეთრებენ.

***– ეს ხელისუფლებამ არ იცის?***

– მაგათ გარეშე როგორ მოხდება ფულის გათეთრება. ეს „ოცნებამაც“ იცის და იმ პარტიებმაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლას რომ აპროტესტებენ.

***– რუსული კაპიტალის შემოსვლა ჯერ არავის გაუპროტესტებია.***

***– საქმეც მაგაშია. სამაგიეროდ, ატეხილი აქვთ ამბავი თურქ ბიზნესმენებზე. ამაზე იმიტომ ყვირიან, რომ რუსული ფულიდან გადაიტანონ ყურადღება. მე რამდენჯერმე ვთქვი, რომ 100 წლისაა თურქეთის სახელმწიფო და ამ დროის განმავლობაში საქართველოში შემოჭრილი თურქის ჯარისკაცი არ გვინახავს. ვინმემ ნახა აქ თურქული ტანკი ან თურქული ავიაცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიას ბომბავს?! სამაგიეროდ, რუსეთი შემოგვივარდა ხუთჯერ.***

თურქული ბიზნესის წინააღმდეგ გალაშქრება რუსეთის დავალებით ხდება. ამ ხალხს მინდა შევახსენო, რომ როცა რუსეთი შემოგვივარდა, თურქებს საქართველოსთან საზღვარი ერთი საათითაც კი არ დაუკეტავთ. უნდათ, რომ ხალხს ეს დაავიწყონ და გამუდმებით იმაზე საუბრობენ, რომ თურქები ბორდელებს ხსნიან.

***– ბორდელებს მართლა ხსნიან.***

– ბორდელი ბორდელია. რა მნიშვნელობა აქვს, მას თურქი გახსნის, რუსი თუ ქართველი. ვიღაცას თუ თავისი ცოლის იმედი არა აქვს, თურქული ინვესტიციის შემოსვლა რატომ უნდა ავკრძალოთ. ქართველი ქალი თუ თურქების გახსნილ ბორდელში იმუშავებს, საქართველო თურქეთის ნაწილი გახდება თურმე. ბოდიში მომითხოვია და ვიღაცას ცოლი იტალიელმა რომ დოუკეროს, ევროკავშირში შევალთ? მიხედოს რა ყველამ თავის ოჯახს.

***– ევროკავშირში შესვლა არ იქნება ასეთი ადვილი. ვიზალიბერალიზაციას ძლივს ველირსეთ და შესაძლოა, ესეც გაგვიუქმონ.***

– ვიზალიბერალიზაცია საქართველოს უდიდესი მონაპოვარია. სამწუხაროდ, ვერ შევირგეთ ეს. ევროპის მიმართ საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის. ყველანი კარგად ვხედავთ, რაშიც არის საქმე.

მოდით, გულწრფელად ვთქვათ, აქედან პირველი ვინ გავიდა ევროპაში? ვინ გავიდა და ბაცაცები. ამ ბაცაცებმა მთელი ევროპა ააწიოკეს. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი ჯერ ევროპისთვის არ არის მზად. კარგად მახსოვს, რომ ნაციონალების დროს ამ ქვეყანაში წესრიგი იყო, ახლა ქაოსი და უწესრიგობაა გამეფებული.

***– რამდენადაც ვიცი, თქვენ ოფიციალურად არ ხართ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს პარტია გესიმპათიურებათ.***

– დიახ, არა ვარ მე ნაციონალების მხარდამჭერი, ვსაუბრობ ფაქტებით. არ ვაღიარო, რომ ნაციონალების დროს წესრიგი იყო? მინდა იცოდეთ, რომ არცერთი პარტიის მხარდამჭერი არა ვარ.

***– რაღაც დროის განმავლობაში ხომ იყავით ლეიბორისტული პარტიის წევრი?***

– ვიყავი, მაგრამ ეს პარტია დავტოვე.

***– რატომ დატოვეთ?***

– იმიტომ, რომ ყველგან ერთი სიბინძურეა, მე კიდევ არ მინდა სიბინძურეში ყოფნა.

***– თქვენ თვითმმართველობის არჩევნებში ბათუმის მერობის კანდიდატი იყავით. მაშინ თქვით, რომ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მუხრან ვახტანგაძე გემუქრებოდათ. პარლამენტის წევრის წინააღმდეგ სარჩელიც შეიტანეთ. არის ამ მიმართულებით რამე სიახლე?***

– სიახლე არაფერი არ არის, მაგრამ მე არავისი მეშინია. ეს ვახტანგაძე არის ერთ-ერთი თაგვი და მან თავისი მუქარა ვერ მოიყვანა სისრულეში. როდის იყო, „ოცნება“ დაპირებას ასრულებდა.

გამიკვირდა, ეს ადამიანი დეპუტატად რომ მოიხსენიეთ. ესენი არ არიან დეპუტატები. ესენი არიან ძველი ბიჭები და ქურდული გაგებით ცხოვრობენ. ივანიშვილმა ისეთი სახელმწიფო სისტემა ააწყო, როგორი ცხოვრებითაც თავად უცხოვრია.

ამ ადამიანს ნორმალური ადამიანი თვალითაც კი არ ჰყავს ნანახი. მის გარშემო სულ ქურდები, დიდი ფულის მქონეები და გადამგდებები იყვნენ. ამ ხალხს მეგობრები არ ჰყავს და არც ის იცის, რა არის სახელმწიფო. როგორ გათახსირებულ ქვეყანაშიც იშოვა ფული ივანიშვილმა, ისეთი გათახსირებული სისტემა შემოიღო აქ.

***– გათახსირებულ ქვეყანაში რუსეთს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. და ისევე, როგორც იქ, აქაც არავინ ფიქრობს ქვეყანაზე. ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს. აი, რა მოიტანა ივანიშვილმა. ხალხს კიდევ ეგონა, რომ ბევრ რამეს გააკეთებდა. რაც გააკეთა, კი ხედავთ.

***– მოდით, ისევ ვახტანგაძეს დავუბრუნდეთ, რა ბედი ეწია მის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს?***

– განცხადება პროკურატურაში შევიტანე, შენობაში არ შემიშვეს, მაგრამ მთლად რეაგირების გარეშე არ დაუტოვებიათ ეს საკითხი. როგორც მითხრეს, ჩემი განცხადების შემდეგ ვახტანგაძე დაიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროში და დაკითხეს. მეტს არც ველოდი.

***– რატომ არ ელოდით?***

– მაგათი კაცია და მეტს რავა აკადრებდნენ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ დეპუტატია. თუმცა მე ამაში ეჭვი მეპარება.

***– რატომ გეპარებათ ეჭვი?***

– ამ კაცმა რომ დამირეკა, მითხრა, შენ მე პოლიტიკოსი ხომ არ გგონივარო.

***– ეს კაცი მოჭიდავეა და, პრინციპში, სიმართლე გითხრათ.***

– მოჭიდავე და რაღაც უბედურება კია, მაგრამ, პარლამენტში რომ შევიდა, არ უნდა იცოდეს, რომ პოლიტიკოსია?!

***– პარლამენტში ვინც მოხვდა, ყველა პოლიტიკოსია?***

– რა თქმა უნდა. ტრიბუნა მაგათ აქვთ და პოლიტიკოსს მეტი რა უნდა.

## ირაკლი კობახიძე: „ნინო ჯანგირაშვილი და თამთა მურადაშვილი კონკრეტულ პარტიულ ინტერესებს ატარებენ“



პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის აზრით, ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალური დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი და „რუსთავი 2“-ის იურისტი თამთა მურადაშვილი კონკრეტულ პარტიულ ინტერესებს ატარებენ.

როგორც კობახიძემ მედიაორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მიმდინარეობს პოლიტიკური შტურმი საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ამ შტურმის მონაწილეები, სხვა სუბიექტებთან ერთად, არის „პარტიული აქტივი, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენდა როგორც ჯანგირაშვილი, ის მურადაშვილი“.

– ეს შტურმი არის ახსნადი, პოლიტიკური ახსნა აქვს, თუმცა არავითარი გამართლება არ აქვს. არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდე იმ იდეას, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სოციალური გავლენა მოიპოვოს. დღეს რამდენიმე ტყუილში ვამხილე ჯანგირაშვილი და ეს იყო რეალურად მიზეზი, რატომაც დატოვა დარბაზი. მას მოჰყავდა არასწორი მონაცემები სარეკლამო ბაზართან დაკავშირებით. ტყუილები არის ამ პარტიული აქტივის დამახასიათებელი ნიშანი, – განაცხადა კობახიძემ.

კითხვაზე, რომელ პარტიას გულისხმობდა, პარლამენტის თავმჯდომარემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაასახელა.

– ეს არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. არ ვგულისხმობ კონკრეტულად პარტიას, ეს არის ის პოლიტიკური წრე, რომელიც ფიქრობს რევანშზე – ეს რევანში, ბუნებრივია, ვერ შედგება, თუმცა ისინი თავიანთ ბრძოლას განაგრძობენ. ისინი არიან ერთგულნი საკუთარი პოლიტიკური პარტიის მიმართ. მათ აქვთ გამოყენებული ეს თემა ზოგადად ხელისუფლებაზე შტურმის მისატანად. საზოგადოებრივი მაუწყებელი არის სსიპ და, შესაბამისად, ის პროცესები, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივ მაუწყებელში, მათ შორის, კანონპროექტის განხილვის სახით, ბუნებრივია, დაკავშირებულია ხელისუფლებასთან და ისინი ცდილობენ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე შტურმის მიტანით საბოლოოდ შტურმი მიიტანონ ხელისუფლებაზე, თუმცა ეს არის ძალიან უსუსური მცდელობა.

საბოლოო ჯამში, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმაზე, რომ არ გაიფლანგოს საბიუჯეტო თანხები ისე, როგორც იფლანგებოდა წლების განმავლობაში, ზუსტად იმ ხელისუფლების პირობებში, რომელსაც წარმოადგენენ დღეს ჯანგირაშვილი და მურადაშვილი, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ამავე შტურმში ჩართულია არასამთავრობო სექტორის ნაწილიც.

– ამ შტურმში ჩართულნი არიან სუბიექტები, ზოგი ნებსით, ზოგი უნებლიეთ, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ კონკრეტული პოლიტიკური ინტერესები – ისინი ასოცირებული არიან პოლიტიკურ ძალებთან და, შესაბამისად, მათაც ამოძრავებთ პოლიტიკური ინტერესი, – დასძინა კობახიძემ.

## ნათია კუპრაშვილი: „2015 წლიდან, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს კომერციული რეკლამა შეეზღუდა, დაიწყო ტელევიზიებში რეკლამის მატების ტენდენცია“



2015 წელს, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს შეეზღუდა კომერციული რეკლამა, ამის შემდეგ წავიდა ტელევიზიებში რეკლამის მატების ტენდენცია, – ამის შესახებ რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის ხელმძღვანელმა ნათია კუპრაშვილმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

ნათია კუპრაშვილი ირაკლი კობახიძეს გამოეხმაურა, რომელმაც იკითხა, რომ საბაზრო ღირებულებაზე უფრო იაფად რატომ გაყიდის რეკლამას საზოგადოებრივი მაუწყებელი.

– 1.000 ლარიან რეკლამას საზოგადოებრივი მაუწყებელი 100 ლარად ხომ ვერ გაყიდის? – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

– აუდიტის სამსახურს თუ დავუჯერებთ, გაყიდა. აუდიტის სამსახურის დასკვნაში წერია, რომ არ არსებობს არანაირი სტანდარტი, როგორ ადგენს რეკლამის სტანდარტს. მესმის, რომ ყველანი სადავოდ ხდით აუდიტის დასკვნას, რამდენად სწორი წერია ამაზე, შეიძლება ვიდავოთ, თუმცა რომ წერია, ეს ფაქტია.

2015 წელს მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს შეეზღუდა რეკლამა, ამის შემდეგ წავიდა ტელევიზიებში რეკლამის მატების ტენდენცია. ეს მონაცემებიც კი იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეკლამის დროის შეზღუდვის შემდეგ დაიწყო ტენდენცია რეგიონულ არხებზე რეკლამის მატების, – განაცხადა ნათია კუპრაშვილმა.

# გიორგი თევზაძე: „ადვოკატის უფლებები დაცული არ არის“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი და საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, გიორგი თევზაძე, „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საჭიროა სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, რომ ადვოკატთა უფლებები ქვეყანაში სრულად იყოს დაცული. ამიტომ ადვოკატთა ასოციაცია ბევრს მუშაობს ამ მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია ადვოკატთა სოციალურ უფლებებზე ზრუნვა. ამიტომაც ადვოკატთა ასოციაციაში შეიქმნა სოციალური დაცვის კომიტეტი, რომელიც ამუშავებს მნიშვნელოვან წინადადებებს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის წარმომადგენლებთან ერთად, რომელსაც შემდეგ პარლამენტს წარუდგენენ.**

გიორგი თევზაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, ბოლო პერიოდში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატის უფლებები გაფართოვდა, ის საკმარისი მაინც არ არის.

***– ბატონო გიორგი, ახალ ვითარებაში, ახალი ხელმძღვანელობის პირობებში ადვოკატები თავს როგორ გრძნობთ?***

– ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობა მოტივირებულია, დაიცვას თითოეული ადვოკატის უფლებები და გაფართოვდეს ადვოკატის, როგორც დაცვის მხარის უფლებები. ადვოკატების პრობლემური საკითხები უკავშირდება საკანონმდებლო საკითხებსა და საგადასახადო სისტემას. ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირი და თითოეული ადვოკატი ვმსჯელობთ, როგორ იქნეს დაცული ადვოკატის უფლებები, მაგრამ მთავარია, სახელმწიფო პოლიტიკა როგორია და როგორ ზრუნავს ადვოკატის უფლებების დაცვაზე.

***– რამდენადაც ვიცი, ბოლო დროს ადვოკატის უფლებები გაფართოვდა.***

– თქვენ, ალბათ, იმას გულისხმობთ, სასამართლო პროცესზე ადვოკატის უფლებები ბრალდების მხარის უფლებებს რომ უთანაბრდება. მე სხვა უფლებებზე ვსაუბრობ. რეალურად, ადვოკატი გაიგივებულია ინდმეწარმესთან. ადვოკატი ინდმეწარმე არ არის, პროდუქციას არ აწარმოებს, მაგრამ რატომღაც სახელმწიფო ბიუჯეტში თავისი ჰონორარის 20%-ს იხდის. ადვოკატი თავის ინტელექტუალურ ცოდნას მოქალაქეებს ახმარს.

***– რის გაკეთებას აპირებთ?***

– ადვოკატთა დამოუკიდებელ პროფკავშირში ვამზადებთ წინადადებებს, არსებული რეგულაცია უნდა გადაიხედოს.

***– შეჯიბრებითობის პრინციპი დაცულია?***

– დიახ. წინა ხელისუფლების დროს ძალიან დიდი პრობლემები იყო და ადვოკატები ყოველთვის აპროტესტებდნენ, შეჯიბრებითობის პრინციპი რომ არ იყო. ადვოკატს არ ჰქონდა უფლება და საშუალება, ამოეღო მტკიცებულება და ა.შ. არსებული ხელისუფლების პირობებში ეს გასწორდა, მაგრამ კიდევ არის საკითხები, რომლებიც გამოსასწორებელია. ადვოკატის უფლებების დაცვა მოქალაქის უფლებების დაცვას უკავშირდება.

***– ანუ ის უფლებები, რომლებიც დღეს აქვს ადვოკატს, საკმარისი არ არის მისი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისთვის?***

– გეტყვით, რა არ არის საკმარისი. ადვოკატს შეუძლია, გამოითხოვოს დოკუმენტაცია, წარადგინოს გამოძიებაში, მოწმეთა ჩვენებები შეკრიბოს, დააყენოს შუამდგომლობა, მიიღოს მონაწილეობა საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში, მაგრამ მაინც რაც არ არის დაცული და პრობლემაა, ეს დაზარალებულის უფლებებია. დაზარალებულის მხარე პროცესზე აღარ გამოდის. მის უფლებებს ბრალდება იცავს.

***– ეს, მგონი, სააკაშვილის დროს შეიცვალა.***

– დიახ, სააკაშვილმა შეცვალა და დაზარალებულს მხოლოდ ბრალდების მხარე, ანუ სახელმწიფო იცავს. საქმეში დაზარალებული, როგორც მხარე, აღარ არსებობს.

***– როგორც ვიცი, დაზარალებულის ადვოკატსაც შეზღუდული უფლებები აქვს.***

– დაზარალებულის ადვოკატს შეუძლია, საქმეს გაეცნოს და მონიტორინგი განახორციელოს. მას არ აქვს უფლება, საქმე გამოითხოვოს, მისი ასლი გადაიღოს. როცა საქმე სასამართლო წარმოებაში გადავა, დაზარალებულის ადვოკატს უფლება არ აქვს, სასამართლოზე გამოვიდეს და დაზარალებულის ინტერესები დაიცვას. დაზარალებულის დაცვას სასამართლოზე პროკურორი ახორციელებს.

***– ჩვენ გვაქვს პრაქტიკა, როცა გამომძიებლები და პროკურორები გამოდიოდნენ არა დაზარალებულის მხარეს.***

– ეს გასაგებია. ჩვენ კონკრეტული მაგალითებით ნუ ვიმსჯელებთ, მაგრამ აუცილებელია, დაზარალებულს თავისი დამცველი ჰყავდეს. ვთქვათ, დაზარალებული პროკურატურას ენდობა, მაგრამ უნდა, მისი დაცვა განახორციელოს ადვოკატმა, დაზარალებულს ამ უფლებას რატომ ვართმევთ? ამიტომ დაზარალებულის უფლებები მოსაწესრიგებელია ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო დონეზე.

მართლმსაჯულებას სასამართლო პროცესზე ახორციელებს მოსამართლე, სახელმწიფო ბრალდება და ადვოკატი. როგორც მოსამართლეთა კორპუსს, ისე პროკურატურას აბსოლუტურად მოწესრიგებული აქვთ საპენსიო უზრუნველყოფა. როცა პროკურორი ან მოსამართლე გადის პენსიაში, მათ სპეციალურად სახელმწიფო უზრუნველყოფს. ადვოკატმა რა დააშავა?

***– ფიქრობთ, რომ ადვოკატიც მათ კატეგორიაში უნდა გადიოდეს?***

– დიახ, ადვოკატიც ხომ სახელმწიფოს ემსახურება, ისიც ხომ იხდის გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში, თუნდაც საშემოსავლოს. ამიტომ ადვოკატის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხია დასაყენებელი.

***– ანუ იმ საკითხების მოწესრიგებაზე, რომლებიც თქვენ დღეს აქ წარმოადგინეთ, პარლამენტს მიმართავთ?***

– ამაზე მუშაობს ადვოკატთა ჯგუფი ადვოკატთა ასოციაციის სოციალური დაცვის კომიტეტში. მე, როგორც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ამ ჯგუფის კურატორი გახლავართ. ასევე მე ვარ ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის (რომელიც ცალკე ერთეულია) თავმჯდომარე და იქაც შექმნილი გვაქვს გარკვეული მუშა ჯგუფი.

***– პროექტის შესამუშავებლად?***

– წინადადებების შესამუშავებლად. გვინდა, გვქონდეს უფრო ახლო კომუნიკაცია ხელისუფლებასთან. დიდი იმედი გვაქვს, ხელისუფლება საღად და სწორად შეაფასებს იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენ გვექმნება. ადვოკატი არის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი ქვეყანაში. თუ მოქალაქეს არ ეყოლება სრული უფლებებით აღჭურვილი ადვოკატი, ისე მისი უფლებები სრულყოფილად დაცული ვერ იქნება. ძალიან ბევრი წინადადება მუშავდება ადვოკატთა ასოციაციაში, რომლებიც შეეხება ადვოკატთა უფლებებს.

***– მოკლედ, პარლამენტისაგან რას მოითხოვთ?***

– ჩვენ კი არ მოვითხოვთ, ადვოკატთა კორპუსის ნებაა. ადვოკატს უნდა შეეძლოს, სრულყოფილად დაიცვას ადამიანის უფლება.

***– ადვოკატის საქმიანობაში ხელის შეშლის მაგალითები თუ არის, როდესაც მიდიხართ, მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან?***

– არავითარი ხელის შეშლა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ ყოფილა და, ვფიქრობთ, არც იქნება. ხელის შეშლას ჩვენ არც გამოძიების ეტაპზე წავწყდომივართ. ერთადერთი, რაც მიხეილ სააკაშვილის დროსაც არ მომხდარა, არის პოლიციაში ადვოკატის ცემა, რაც ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელდა.

***– ისე, ის პოლიციელები სააკაშვილის დროინდელი თანამშრომლები იყვნენ. მათ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი არ აგეს?***

– სააკაშვილის დროინდელი პოლიციელები იყვნენ თუ შემდგომი პერიოდის, მნიშვნელობა არ აქვს. თუ სისტემა იცვლება და მოდის ახალი ხელისუფლება, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს კადრები, რომელმაც შეიძლება შეცდომა დაუშვას.

***– ანუ ის კადრები, რომლებიც შემჩნეული იყვნენ გადაცდომებში, უნდა შეცვლილიყვნენ?***

– მე არ ვიცი, შემჩნეული იყვნენ თუ არა გადაცდომაში, მაგრამ ამ ფაქტორის გათვალისწინებით კადრების ცვლილება უნდა მომხდარიყო. მოსამართლეები, რომლებიც უკანონოდ ასამართლებდნენ და უსჯიდნენ ადამიანებს სასჯელს, ისევ სისტემაში არიან. მათ მინიმალურად მაინც უნდა დაჰკისრებოდათ პასუხისმგებლობა. როდესაც გიორგი მდინარაძეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სცემეს, ადვოკატთა ასოციაციის მთელმა შემადგენლობამ ამოიღო ხმა.

***– ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ გვაინტერესებს, უახლოეს პერიოდში ხომ არ მოხდა რამე მსგავსი.***

– არა.

***– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია ორი დღის წინ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ფაქტზე, როდესაც პატიმარი ყელის არეში მიყენებული დაზიანებით იპოვეს?***

– არა. მე ვარ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან არსებული მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, სადაც თვეში ერთხელ ვხვდებით მინისტრს და ვმსჯელობთ სისტემაში წარმოშობილ პრობლემებზე. საბჭოში შეხვედრა გვექნება და მივიღებთ ინფორმაციას, რა მოხდა. ამ პატიმარს ადრეც ჰქონია მსგავსი მცდელობა. დაველოდოთ გამოძიებას.

***– პრობლემური პატიმარი იყო?***

– არ ვიცი.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ მის უსაფრთხოებას სათანადო ყურადღება არ მიექცა?***

– არა, ვერაფერს ვიფიქრებთ, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით, ფაქტი რა ვითარებაში მოხდა, რა მიზეზებს უკავშირდება. ჯოხს სასჯელაღსრულების დეპარტამენტზე ნუ გადავტეხთ.

***– რატომ?***

– დღეს არ არის მიშა სააკაშვილის პერიოდი, სასჯელაღსრულების სისტემის მესვეურთ ხელს რომ აფარებდნენ. თუ გამოიკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან დანაშაულის ნიშნები, მათ მკაცრად დასჯას მოვითხოვთ.

X X X

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ გაოცებულია საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული დადგენილების გამო. კერძოდ, საქმე ეხება ხელისუფლების გადაწყვეტილებას საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფასოდ სწავლების თაობაზე.

– ჩემი გაოცება გამოიწვია საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებულმა დადგენილებამ, რომლითაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს დაევალა, გააფორმოს გარკვეული ხელშეკრულებები უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ მიზნით ბიუჯეტიდან გარკვეული თანხები გამოიყოფა, რომლითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლის საფასურს სახელმწიფო დააფინანსებს, – აღნიშნავს გიორგი თევზაძე.

***– ბატონო გიორგი, უცხოელი სტუდენტების სწავლის დაფინანსების მოტივი რა არის?***

– როცა ქართველ სტუდენტებს უჭირთ, როცა საქართველოში მცხოვრები უამრავი სტუდენტი ვერ სწავლობს უფინანსობის გამო, სამუშაოსაც ვერ შოულობს, რომ აღებული გასამრჯელოთი თავისი სწავლა დააფინანსოს.

ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ამ დროს ასეთი დადგენილების მიღება გასაოცარი და გაუგებარია. თუ სახელმწიფოს გააჩნია საშუალება და შეუძლია, გამონახოს თანხა, ჯერ ჩვენი ქვეყნის მომავალი უნდა დააფინანსოს.

***– ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხომ არ არის გათვალისწინებული ჩრდილოკავკასიელების უფასოდ სწავლება ჩვენს უნივერსიტეტებში?***

– არ ვიცი, რა აქვთ ჩაფიქრებული. თუ რამე არგუმენტები აქვთ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ჯერ ჩვენი ახალგაზრდების განათლებას უნდა მივხედოთ. დღეს ძალიან ბევრ ახალგაზრდას სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს. ვერ სწავლობენ, რადგან გადასახადს ვერ იხდიან.

***– ხომ არ არის ცნობილი, რომელი ქვეყნის სტუდენტებს დააფინანსებს?***

– არა. შეიძლება, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების დაფინანსება იყოს გადაწყვეტილი.



# „ივანიშვილის და მარგველაშვილის დაპირისპირება ფარსია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რა აზრი აქვს ვეტოს დადებას? თუ მართლა უპირისპირდები „ქართულ ოცნებას“, ადექი და სხვანაირად იბრძოლე.

***– სხვანაირად როგორ უნდა იბრძოლოს მარგველაშვილმა?***

– გადადოს ეს თავისი უმაქნისი ვეტო გვერდზე და დაუძახოს მთელ საქართველოს. გაუძლვეს ხალხს და მიიყვანოს ნამდვილ მთავრობის სახლთან, კანცელარიასთან მისვლას აზრი არა აქვს.

***– ნამდვილი მთავრობის სახლი რომელია?***

– რომელია და სოლოლაკის სასახლე. წამოვიდეს და ერთად გამოვათრიოთ ივანიშვილი ამ სასახლიდან. ამის გაკეთება ყველაზე მეტად მარგველაშვილს უნდა უნდოდეს. მისი პრეზიდენტობის დროს გააუპატიურა ივანიშვილმა პრეზიდენტის ინსტიტუტი და ზედ მიაყოლა კონსტიტუცია. დღეს ქვეყანას მართავს კაცი, რომელიც თავის ზებრას უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს.

მარგველაშვილი თუ მართლა დაპირისპირებულია ივანიშვილთან, მაშინ მიადგეს სოლოლაკის სასახლეს. საკუთარი სასახლიდან ვეტოების დადება დიდი არაფერია.

***– ამბობთ თუ მართლა დაპირისპირებულიაო, არ გჯერათ მათი დაპირისპირების?***

– არ მჯერა და საამისოდ ბევრი მიზეზი მაქვს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარგველაშვილმა მოაწერა ხელი იმ კონსტიტუციას, რომელიც ივანიშვილს ტანზე ჩოხასავით მოარგეს.

***– მარგველაშვილის ადგილზე სხვა ვინმე რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, ის რეალურად დაუპირისპირდებოდა „ოცნებას“ და ივანიშვილს?***

– შალვა ნათელაშვილი რომ გამხდარიყო პრეზიდენტი, დღეს საქართველოში ბიძინას და ბიძინიზმის ნამსხვრევებიც აღარ იქნებოდა. თავიდან ბოლომდე ამოიფხვრებოდა მეჯღანუაშვილიზმი.

***– „ოცნების“ გუნდიდან რომ სხვა გამხდარიყო პრეზიდენტი, ის შეძლებდა ივანიშვილთან დაპირისპირებას?***

– ვერ გაბედავდა. იგივე იქნებოდა, რა სურათიც მარგველაშვილის შემთხვევაში გვაქვს.

***– მათ შორის დაპირისპირება თუ არ არის, რატომ ლანძღავს „ოცნება“ ასე მწარედ მარგველაშვილს?***

– ეს რა დაპირისპირებაა? ლანძღვით იმიტომ ლანძღავენ, რომ გავლენების სფეროებს ვერ იყოფენ. ეგრე შეიძლება მეც მქონდეს მეზობელთან დაპირისპირება, მაგრამ ამით საქართველოს რა? მალე „ოცნებაშიც“ დაუწყებენ ერთმანეთს ლანძღვას, მაგრამ ესეც პირადი ხასიათის იქნება. საქართველო ამ გუნდს საერთოდ არ აინტერესებს.

საქართველოს გადარჩენა თუ გვინდა, „ოცნება“ მთლიანად ამოიძირკვოს თავის ნარჩენებიანად. ხალხის გამწარება ისე მოსწონთ, ახალ-ახალ მეთოდებს იგონებენ. თითქოს პრობლემები გვაკლდა, მთელი თბილისი საცობად აქციეს.

***– თბილისში საცობები სულ იყო?***

– ასეთი საცობები არასდროს ყოფილა. ეს ქაოსი ამათ მიერ უადგილო ადგილას დახაზულმა ზებრებმა გამოიწვია. შეგვჭამეს ამ ზებრებით.

***– აშკარაა, რომ ზებრის მიმართ ანტიპათიურად ხართ განწყობილი?***

– მოდი და ნუ იქნები. დარწმუნებული ვარ, ბიძინას გარდა, მთელ საქართველოს სძულს ეს პატიოსანი ცხოველი, მაგრამ რა გინდა რომ გააკეთო. თბილისი ბიძინას და ზებრას ქალაქი გახდა. მეჯღანუაშვილებმა იმდენი მოახერხეს, რომ გორგასალი თავის მიმინოსთან და ხოხობთან ერთად გვერდზე გასწიეს.

# „ილებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს“ — სად და როგორ ამზადებენ ექიმებს საქართველოში?



— შეცდომა სრულად ვერ აღმოიფხვრება, რადგან ექიმი შეცდომას უშვებს და მომავალშიც დაუშვებს, — ამის შესახებ „კომერსანტს“ „სამედიცინო უნივერსიტეტის“ კანცლერმა, ზურაბ ორჯონიკიძემ განუცხადა.

ორჯონიკიძემ აღნიშნული კომენტარი ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გააკეთა.

კერძოდ, უწყების ინფორმაციით 2017 წელს 305 ექიმიდან 300 ექიმის შემთხვევაში დადასტურდა, რომ მათ მიერ გარკვეულ გადაცდომას ჰქონდა ადგილი.

როგორი დონის განათლებას ილებენ მომავალი ექიმები? რა არის ქართველი ექიმების არაპროფესიონალიზმის ძირითადი მიზეზი? — ამ კითხვებით „კომერსანტმა“ შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს მიმართა.

აღმოჩნდა, რომ თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც კი დღეს არსებულ სამედიცინო განათლების სისტემას აკრიტიკებენ.

როგორც „სამედიცინო უნივერსიტეტის“ კანცლერი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, პროფესიული გადამზადება ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს. მისივე განცხადებით, „სამედიცინო უნივერსიტეტის“ გარდა, ქვეყანაში ექიმებს 30-მდე დაწესებულება ამზადებს, რაც არასწორია.

— ექიმების მიერ დაშვებული შეცდომები სრულად ვერ აღმოიფხვრება, რადგან ექიმი შეცდომას უშვებს და მომავალშიც დაუშვებს, თუმცა ამ ყველაფრის შემცირება უნდა მოხდეს.

ამისთვის საჭიროა, რომ გადამზადების პროცესი პერმანენტული და სავალდებულო გახდეს. სამწუხაროდ, სამედიცინო უნივერსიტეტის გარდა ქვეყანაში ექიმებს 30-მდე დაწესებულება ამზადებს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია, — განაცხადა ორჯონიკიძემ.

მისივე თქმით, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემები განსაკუთრებულად დგას, რადგან მათ ექიმების მოსამზადებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურაც კი არ გააჩნიათ.

ჩვენ კითხვაზე, უნივერსიტეტში სწავლის შემდგომ იმ დონის გადამზადება არ ხდება, რაც პროფესიონალ ექიმს სჭირდება? კანცლერი გვპასუხობს, რომ „ზუსტად ამ საკითხზე ვერავინ ისაუბრებს, გამოწერილი რეცეპტი რომ არსებობდეს, შეცდომები აღარ იქნებოდა“.

აღნიშნულ თემაზე „კავკასიის უნივერსიტეტის“ ჯანდაცვის სკოლის დეკანი ვატო სურგულაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად უარესდება, ამის გამოსწორება კი თავად სახელმწიფომ პროფესიონალი კადრების გამოშვებით უნდა შეძლოს.

— ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად იკლებს, ამას კი კონტროლი სჭირდება. სფერომ პროფესიონალი კადრები უნდა გამოუშვას და შემდგომ მათი გადამზადება მოხდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს არ ხდება, ილებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს, — აღნიშნა ვატო სურგულაძემ.

სპეციალისტის აზრით, ასევე აუცილებელია სფეროს მკაცრი რეგულაციები დაუწესდეს და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ყველა დეტალის საფუძვლიანად შესწავლა მოხდეს. მისი განცხადებით, კონსილიუმის ცნება ქვეყანაში უნდა აღდგეს.

— სექტორს ზოგადად მკაცრი რეგულაცია სჭირდება. მაგალითად, ნებისმიერი დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა განხილული უნდა იყოს ჯანდაცვის სამინისტროს და კონკრეტული კლინიკის დონეზე, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ რეალურად. ქვეყანაში კონსილიუმის ცნება მოკვდა და ეს საკითხიც მისახედია, — განმარტავს „კომერსანტთან“ სურგულაძე.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა. ინფორმაციის თანახმად, 207 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“, სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით კი 93 ექიმს შეუჩერდა.

რაც შეეხება წინა წლებს, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემის მიხედვით — სააგენტომ 178 პაციენტის საქმე შეისწავლა და პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა 198 ექიმს, საიდანაც 105-ს წერილობითი გაფრთხილება მიეცა, ხოლო სხვადასხვა ვადით სერტიფიკატის მოქმედება 93 ექიმს შეუჩერდა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ექიმის მიმართ არ იქნა გამოყენებული ყველაზე მკაცრი პროფესიული სანქცია.

# „საპენსიო რეფორმა შედეგს მოიტანს, თუ სწორად გატარდება“

## დემურ გიორხელიძე: „არ უნდა დარჩეს შავი ხვრელები, რომლებიც ფინანსურ ჯგუფებს ამ ფულზე კონტროლს დაამყარებინებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.**



***— ბატონო დემურ, დაგროვებითი საპენსიო სისტემა ახალი დავის საგნად იქცა ჩვენს საზოგადოებაში. კანონპროექტი პარლამენტშია ინიცირებული, მას ეჭვის თვალით უყურებენ ოპოზიცია და სამოქალაქო სექტორი. რას იტყვით თქვენ? რამდენად წარმატებული იქნება ეს რეფორმა?***

— ამ კუთხით რეფორმა რომ გასატარებელია, ეს სადავო არ არის. ეს ყველაფერი პირველ რიგში კეთდება დღევანდელი ახალგაზრდებისთვის, რომ მათ დაახლოებით 3-4 ათეული წელი მაინც ჰქონდეთ წინ იმისთვის, რომ გაიაზრონ თავიანთი მომავალი.

***— ოპოზიცია საპირისპიროს ამტკიცებს, ამ კანონის მიხედვით ახალგაზრდობა უმუშევარი დარჩებაო.***

— პრობლემა ის არის, ეს ყველაფერი ინსტიტუციურად და კონტროლის მექანიზმებით რამდენად იქნება უზრუნველყოფილი, რათა გამჭვირვალე და გახსნილი იყოს ამ კერძო ფონდების მოძრაობა. მთელი პრობლემა არის სწორედ ამაში.

***— რაში?***

— მართვის პრობლემაა. სად დაბანდდება ეს ფული, რომ ამ ფულმა დროში არ დაკარგოს ღირებულება და ჩვენ არ მივიღოთ შედეგი, როდესაც ამ ფულზე კონტროლს დააწესებენ ძალიან გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც ახლაც ცდილობენ ამ რეფორმის ნებისმიერი გზით გატანას. ანუ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ დაგროვებითი პენსია არის ცუდი, არამედ იმაზე, რომ შეიძლება პრობლემა გააჩინოს იმან, თუ ვინ დაამყარებს ამ ფულად ნაკადებზე კონტროლს, როგორი იქნება ამ ფულის დაბანდების გზები. მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოთი უნდა ჩაიკეტოს ეს ფული, მაგრამ საზღვარგარეთის ცნობილ ბირჟებზე რომ დაბანდდეს ეს ფული, შემოსავლიანობის მაღალი დონე უნდა იქნას მიღწეული და ამ საქმეს ძალიან პროფესიული მმართველები სჭირდება, უმაღლესი დონისა.

***— ეს მოხერხდება?***

— არ იქნება ურიგო, კონკურსი გამოცხადდეს მმართველი კომპანიის შესახებ და აქ ნეპოტიზმზე აგებული დანიშვნებით არ მივიღოთ ძალიან მძიმე შედეგი. საქართველოში კი არა, შეერთებულ შტატებში არასწორმა დერეგულაციამ და მოშლამ ბევრი ტრადიციული სქემისა, მიიყვანა იქამდე, რომ დანაშაულებრივი სინდიკატები შეიქმნა მსხვილი ბანკების, სარეიტინგო კომპანიების, შემფასებლების, მსესხებლებისა და მათ საპენსიო ფონდებს, ათობით მილიონ ადამიანს შეუჭამეს ფული. ეს მოხდა კლასიკურ, დალაგებულ, კანონზე აგებულ ქვეყანაში და რა შეიძლება მოხდეს უკონტროლობისა და არასწორი მექანიზმების შემთხვევაში საქართველოში, იოლი წარმოსადგენია.

***— ანუ იდეა კარგია, მაგრამ საჭიროა რისკების სწორად გათვლა და სერიოზული კონტროლი?***

— თუ პოლიტიკური ნება იქნება და ეს გაკეთდება პროფესიონალურ დონეზე, როგორც კონსტრუქცია, როგორც მექანიზმი აიგება თავისი საკანონმდებლო და შეკავების მექანიზმების გათვალისწინებით, სრული გამჭვირვალობით, პერიოდული და ძალიან ინტენსიური ანგარიშვალდებულებით და ასე შემდეგ, მაშინ ეს შედეგს მოგვცემს და ძალიან კარგი იქნება. მაგრამ...

***— რატომ რჩება ეს მაგრამ? რისკებს ხედავთ?***

— რას გავაკეთებთ და როგორ გავაკეთებთ, პრობლემა სწორედ ამაშია. რისკი არის იმ შემთხვევაში თუ იქნება დატოვებული ის შავი ხვრელები, რომლებიც დაუტოვებს გზას გავლენიან ფინანსურ ჯგუფებს საქართველოში, ამ ფულზე დაამყარონ კონტროლი, თავისი ხალხი დანიშნონ იმ მმართველ ორგანოებში, რომელიც ამას ზედამხედველობას გაუწევს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ძალიან ცუდ შედეგს.

***— რა ბერკეტები არსებობს საიმისოდ, რომ ასე არ მოხდეს?***

— ბერკეტი ერთადერთია, კონტროლის მექანიზმები, საკანონმდებლო ბაზა, გამჭვირვალობა და იმ მმართველი კომპანიის საზედამხედველო საბჭოს დანიშვნის სწორი მექანიზმი, რომელსაც უკვე ბოლოს პარლამენტი ამტკიცებს. რისკი არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ არასწორად გაკეთდება რაიმე.

***—სწორად გაკეთების შემთხვევაში?***

— თუ გაკეთდა სწორად, ჩვენ მივიღებთ იმას, რომ ადამიანებს, რომლებიც კერძო ფონდებში ფულს ჩადებენ, ყოველდღიურ კონტროლზე ექნებათ ეს ფული. ჩვენ მივიღებთ შემოსავლიანობის ნორმალურ დონეს და ახალგაზრდებს, რომლებიც ამ მიმართულებით ნაბიჯს გადადგამენ, მათ ექნებათ მოხმარების ის დონე, რომელიც მათ აკმაყოფილებს.

***— ამ რეფორმის შედეგად დამატებით ახალი გადასახადი უწესდებათ კერძო კომპანიებს და ეს პროცესი ბევრს არ მოსწონს.***

— ბიზნესს საკუთარი ინტერესების იქით არაფერი არ აინტერესებს და არც მოეთხოვება მეტი. ქართული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა არის ნულოვანი! ამიტომ საუბარი იმაზე, რომ გადასახადებს გადაიხდიან საკუთარი თანამშრომლების სასარგებლოდ და ეს ბიზნესს დააზიანებს, არის საშინელი ლობირება! ესეც არის იმის მაგალითი, რომ ამ ლობირების გამტარებელი, ოპოზიცია იქნება თუ ხელისუფლება, სწორად არაფერს არ გადაწყვეტს თუკი ამ პოზიციას არ შეიცვლის.

***— ანუ თქვენ ვერ ხედავთ საფრთხეს?***

— მე ამ რეფორმაში ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. საფრთხე არის პოლიტიკური ნება, პოლიტიკური გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობა!

***— რას იტყვით არსებულ ეკონომიკურ ფონზე. ხშირია შეფასებები, რომ სიტუაცია უმძიმესია. ასეა?***

— მოდით, ასე ვთქვათ, სიტუაცია არის სტაბილური. ეს სტაბილიზაცია არის დაბალ დონეზე. ეკონომიკის განვითარების დონე ჯერჯერობით არ არის მაღალი. ჩვენ ძალიან მცირე ეკონომიკა გვაქვს და ეს სტაბილიზაცია სასურველი არ არის. საჭიროა ძალიან შოკური ზემოქმედება პოლიტიკისა და ფინანსირების თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი იყოს გაცილებით სწრაფი ტემპებით ეკონომიკური ზრდა.

***— ღარიბდება მოსახლეობა, სოციალური ფონი მძიმეა და ეს არ არის საგანგაშო?***

— რა თქმა უნდა, სოციალური ფონი მძიმეა. ამის არაღიარება სწორი არ არის, რაში გვჭირდება სირაქლემას პოზიცია?! არის პრობლემა და ეს უნდა გავასწოროთ. გასწორებისთვის ყველანაირი შანსი არსებობს. რაც უფრო დაუფარავად ისაუბრებს მთავრობა პრობლემაზე, ეს მით უკეთესი იქნება მისთვის და მისდამი ნდობაც გაცილებით მაღალი იქნება. პრობლემები ბევრია და მათი შელამაზება ნეგატიურ განწყობებს იწვევს.

# დავით ნარმანია აუდიტის დასკვნაზე: „დეტალები ნამდვილად არ მახსოვს“

— თბილისის მერობის ჩემს პერიოდთან დაკავშირებით თუ ვინმეს რაიმე კითხვები ექნება, მე ყოველთვის მზად ვარ, რომ ამ კითხვებზე ვუპასუხო, — ამის შესახებ თბილისის ყოფილმა მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მერიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აუდიტის დასკვნის კომენტირებისას განაცხადა.

კითხვაზე, გრძნობს თუ არა მის წილ პასუხისმგებლობას დარღვევებზე, დავით ნარმანიას განცხადებით, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საგამოძიებო ორგანოებმა უნდა იმსჯელონ.

რაც შეეხება ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემას, დავით ნარმანიას თქმით, ფარცხალაძესთან დაკავშირებულ საკითხზე მან საკმარისზე მეტი კომენტარი გააკეთა თავის დროზე, „ასე რომ, შეგიძლიათ ამოიღოთ ძველი კადრები და გაავრცელოთ“.



რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, რომელიც გამწვანებას ეხებოდა, დავით ნარმანიას განცხადებით, ორმოები მას ნამდვილად არ დაუთვლია, თუმცა შესაბამისი სამსახურის პასუხისმგებლობა ნამდვილად იყო, რომ ეს ყველაფერი შეეფასებინა და დაედო დასკვნა.

— კარგად მახსოვს, რომ ჩვენ იმ წელს დაგვეხმარა სახელმწიფო შპს, რათა უფრო იაფად და მარტივად გაგვეკეთებინა ეს საკითხები, ასე რომ, ეს 3 თუ 4 წლის წინანდელი საკითხია და დეტალები ნამდვილად არ მახსოვს, ამაზე უმჯობესია, რომ გამწვანების სამსახურს ჰკითხოთ, — განაცხადა ნარმანიამ.

კითხვაზე, ხარვეზის აღმოჩენის შემდეგ გაათავისუფლა თუ არა ვინმე სამსახურიდან, დავით ნარმანიას თქმით, ნაწილი თანამშრომლებისა მერიაში აღარ მუშაობს, ზოგი რეორგანიზაციის პროცესში წავიდა, ზოგი — გათავისუფლდა.

— ჩვენი შეფასებით, ეს არ იყო მაინცდამაინც ისეთი მძიმე, რომ თანამშრომლები გაგვეთავისუფლებინა სამსახურიდან, თუმცა, ამის შემდეგ მექანიზმი უფრო გაიმართა და უფრო დახვეწილი გახდა, — განაცხადა ნარმანიამ.

ამასთან, დავით ნარმანია აუდიტის სამსახურს ურჩევს, რომ მერიაში ის წინა პერიოდები შეამოწმოს, რომლებიც შეუმოწმებელია.

— ჩემს პერიოდთან დაკავშირებით თუ ვინმეს რაიმე კითხვები ექნება, მე ყოველთვის მზად ვარ, რომ ამ კითხვებზე ვუპასუხო, — განაცხადა ნარმანიამ.

# „საგზაო დეპარტამენტში ნეპოტიზმი და კორუფციაა“



ქეთევან ენუქიძის ბრალდებები უარყო თავად საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი სეთურიძემ.

— მე არ მყავს მეუღლე, რომელიც აზერბაიჯანული კომპანიის მეწილეა. ეს ცილისწამებაა, — აღნიშნავს სეთურიძე.

საგზაო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები იმ უცხოურ კომპანიაში გადავიდნენ სამუშაოდ, რომლებმაც საგზაო დეპარტამენტის ტენდერებში გაიმარჯვეს. ისინი იყვნენ ამავე სატენდერო კომისიის წევრებიც. ესენი არიან:

გივი ჩოჩია, საგზაო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი, დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სამუშაოდ გადავიდა იმ თურქულ კომპანიაში, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ბათუმის შემოვლითი გზის ტენდერი მოიგო. საუბარია კომპანია „POLAT YOL & MAPA“ -ზე. ის იყო იმ სატენდერო კომისიის წევრიც, რომელშიც ეს კომპანია მონაწილეობდა.

გიორგი სეთურიძის მოადგილე პაატა აბუთიძე, რომელიც საზედამხედველო ხორვატული კომპანიიდან საგზაო დეპარტამენტში გადავიდა. სწორედ პაატა აბუთიძის დირექტორობის პერიოდში მოიგო ხორვატულმა კომპანიამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საზედამხედველო მომსახურების მიზნით გამოცხადებული 40.590.000 ლარიანი ტენდერი და შემდეგ 20 მილიონიანი ტენდერი. ასევე გივი ჩოჩია და პაატა აბუთიძე იყვნენ ბიზნესპარტნიორები.

ირაკლი ხერგიანი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სამუშაოდ გადავიდა საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია „დოჰვა ინჟინერინგში“. კომპანიაში, რომელიც ზედამხედველობას უწევდა თბილისი-რუსთავის გზას, ქობულეთის შემოვლით გზას და საქართველოს 10 შიდა და მეორადი გზის რეკონსტრუქციის ზედამხედველობა აქვს აღებული. ის იყო სატენდერო კომისიის წევრიც.

ზაზა სიმონია, საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. საგზაო დეპარტამენტიდან სამუშაოდ გადავიდა ჩინურ კომპანია „სინოჰიდროში“, რომელსაც მოგებული აქვს ყველაზე ძვირადღირებული საგზაო ტენდერები, მათ შორის, სამტრედია-გრიგოლეთის შემოვლითი გზის მეორე ლოტი, რომლის ღირებულება 253 მილიონია. იგი გახლდათ ასევე სატენდერო კომისიის წევრი.

— პრობლემას ვერ ვხედავ თუ ჩვენი თანამშრომლები მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ გადავლენ კერძო სექტორში. ვფიქრობ, პრობლემა ის უფროა, რომ საჯარო სამსახურში კვალიფიცირებულ კადრს არ აქვს შესაბამისი ანაზღაურება და ამიტომ იძულებული ხდება, კერძოში გადავიდეს, — ასე გამოეხმაურა საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე დეპარტამენტის მაღალჩინოსნების ტენდერში გამარჯვებულ კომპანიაში დასაქმებას.

— ის ფაქტი, რომ საგზაო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები ტენდერებში გამარჯვებულ უცხოურ კომპანიაში დასაქმდნენ, პირდაპირი კორუფციაა, — ასე აფასებს საგზაო დეპარტამენტში დღეს არსებულ სიტუაციას სახალხო მოძრაობა „შეაჩერე კორუფციას“ დამფუძნებელი ვატო გელაშვილი.

მისივე თქმით, იმ მაღალჩინოსნებს (გივი ჩოჩია, ირაკლი ხერგიანი, ზაზა სიმონია), რომლებიც უცხოურ კომპანიებში გადავიდნენ სამუშაოდ, ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ კონკრეტულ კომპანიებთან.

— ეს ადამიანები ლობირებდნენ კონკრეტულ კომპანიებს. შესაბამისად, სატენდერო მონაცემებსაც სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების სტანდარტებს არგებდნენ, რათა საბოლოო ჯამში, ტენდერში გაემარჯვათ. შედეგად მოხდა ისე, რომ ეს ერთგული ადამიანები იმ კომპანიებმა დაასაქმეს, — აღნიშნავს გელაშვილი.

როგორც ვატო გელაშვილმა „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნა, პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული კანონის შეცვლა ან განახლებაა.

— შესყიდვებში კორუფცია რომ იყოს, ამის საშუალებას, პირველ რიგში, იძლევა თავად კანონი. როგორც ვარკეთილის მეტროში მომხდარი ამბის მერე ვერაფერი ვერ ქნეს, ისე არაფერი გამოვა ამ შემთხვევაშიც. რომელიმე კომპანიამ კარგი ადვოკატი რომ აიყვანოს, კორუფციის გზით ისე მოიპარავს ბიუჯეტიდან 10 მილიონს, პასუხს ვერავინ მოსთხოვს, ამიტომ კანონია შესაცვლელი, — განმარტავს გელაშვილი.

ვატო გელაშვილის მოსაზრებას იზიარებს, „შეაჩერე კორუფციის“ თანადამფუძნებელი ქეთევან ენუქიძეც. მისივე თქმით, დღეს ნეპოტიზმის, კორუფციის, კანონის დარღვევისა და უსამართლობის მაგალითი არაერთია, მათ შორის ქაოტური მდგომარეობაა საგზაო დეპარტამენტში.

— საგზაო დეპარტამენტის შემთხვევას გამოძიებაც კი არ სჭირდება, იმდენად ცალსახაა კორუფცია. არადა, იდეაში იგი არის მაკონტროლებელი ორგანო, რათა ტენდერი გამჭვირვალედ განხორციელდეს. რაც შეეხება მაღალჩინოსნების გადასვლა-გადმოსვლას კომპანიებში, ვფიქრობ, ეს ბოლო მოვლენებმა განაპირობა. ზოგადად ტენდერებთან დაკავშირებით სკანდალია ატეხილი და მათაც დროზე უშველეს თავს, — აღნიშნავს ენუქიძე.

კიდევ ერთი ფაქტი, რაზეც ქეთევან ენუქიძემ ყურადღება გაამახვილა, ეს საგზაო დეპარტამენტის დღევანდელი თავმჯდომარის, გიორგი სეთურიძის მეუღლესთან დაკავშირებული საკითხია.

— საგაზო დეპარტამენტში საოცრებები ხდება. ყველგან ნეპოტიზმი და კორუფციაა. აი, მაგალითად, მაქვს ინფორმაცია, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარის მეუღლე მეწილეა რომელიღაც აზერბაიჯანული კომპანიის. ეს კომპანია კი უშუალოდ სეთურიძის სახლის წინაა დარეგისტრირებული, ანუ მისამართიც კი ემთხვევა. სამწუხაროდ, დღევანდელი კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ დირექტორობას კონკრეტული კომპანიის, მაგრამ წილის მფლობელობაზე არაფერი წერია. არადა ლობირება, მეწილესაც ხომ შეუძლია გაუწიოს, — განმარტავს ენუქიძე.

# „საიამ“ საპენსიო რეფორმა, შესაძლოა, სასამართლოში გაასაჩივროს



— დაგროვებითი საპენსიო რეფორმა არაკონსტიტუციურია. რადგან აქამდე სავალდებულო შენატანი საკანონმდებლო პაკეტში არ არსებობდა და ეს ჩნდება ახლა, მაშინ ამ ტიპის გადასახადებზე საკონსტიტუციო სასამართლოს 94-ე მუხლის რეგულირება უნდა გავრცელდეს. ესე იგი, ნებისმიერი ამ ტიპის გადასახადი უნდა შემოდიოდეს რეფერენდუმის გამართვის გზით. სხვა შემთხვევაში კი საპენსიო შენატანის გადახდა სავალდებულო არ უნდა იყოს, — ასე შეაფასა დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა „საიას“ საპარლამენტო მდივანმა სოფო ჭარელმა.

მისივე თქმით, საპენსიო რეფორმის განხორციელების შემთხვევაში „საია“ საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლებს.

— თუ პარლამენტი კანონს მიიღებს იმ სახით, რა სახითაც აქამდე აპირებდა, ცხადია, „საია“ აღნიშნული მიმართულებით საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის საკითხს განიხილავს. თანაც ეს ეხება ყველა დასაქმებულს და მათ შორის, ბუნებრივია, „საიას“ დასაქმებულებიც იგულისხმებიან. შესაბამისად, მოსარჩელეებიც, ცხადია, გვყავს, — აღნიშნავს ჭარელი.

როგორც „საიას“ საპარლამენტო მდივანმა „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნა, გარდა კონსტიტუციური პრობლემებისა, საკანონმდებლო პაკეტში არაერთი ხარვეზი იკვეთება. მათ შორის ბუნდოვანია, ზოგადად როგორ გამოითვლება დაგროვებითი თანხები და რას აგროვებს თემის მონაწილე.

— დაგროვებითი თანხების გარდა, ასევე ერთ-ერთი ხარვეზია ის, რომ საკონსტიტუციო პაკეტში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც თუ საინვესტიციო საქმიანობაზე უფლებამოსილი პირი კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს, შედეგობრივად არ მოხდება ინვესტიციების მოზიდვა, კლებაში წავა აქტივები და მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

ცხადია, ჩნდება კითხვა, რა გარანტია არსებობს, რომ საკანონმდებლო პაკეტში, მაგალითად მე, როგორც თემის მონაწილე პირმა, საბოლოო ჯამში ნამდვილად მივიღო შესაბამისი დაგროვებითი თანხები და არ აღმოჩნდეს ისე, რომ ვერ განხორციელდა სათანადო ინვესტიციები და თანხა არ დაგროვდა, — განმარტავს ჭარელი.

# დეველოპერებისთვის ახალი ვალდებულებები 22 თებერვლიდან ამოქმედდება



„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილებები უკვე შევიდა. ცვლილებების შედეგად, ნებართვის მიღების პროცესშივე იქნება აუცილებელი გამწვანების გეგმის წარმოდგენა, იქ არსებული ხეების აღრიცხვა და ახალი გამწვანების გეგმის წარმოდგენა.

ასევე, 4.000 კვ/მ-ზე დიდი ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მისაღებად დეველოპერებს საწყის ეტაპზევე დასჭირდებათ სატრანსპორტო კვლევისა და სატრანსპორტო რეგულირების სქემის წარმოდგენა.

ამასთან, დეველოპერი ვალდებული იქნება განათავსოს საინფორმაციო დაფა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტზე გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველ ინფორმაციას. მათ შორის, გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს; გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება ხნოვანება, სიმაღლე); გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს; შეთანხმებულ გამწვანების პროექტს, რომელიც უნდა იყოს ვიზუალურად გამოსახული მაკეტი ან/და ფოტომონტაჟი.

როგორც მთავრობის 15 თებერვლის დადგენილებაშია აღნიშნული, მისი ამოქმედება მიმდინარე წლის 22 თებერვლიდან მოხდება.

# ირაკლი კოვზანაძე: „ჩვენ გვჭირდება სწრაფი და ფუნდამენტური რეფორმები და ერთ-ერთი ასეთია საპენსიო რეფორმა„



— იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და გახდეს კონკურენტული, ჩვენ გვჭირდება სწრაფი და ფუნდამენტური რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი მიმართულება საპენსიო რეფორმაა, კერძოდ, მე ვგულისხმობ დაგროვებითი პენსიის მოდელის შემოღებას, ეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდია, რომელიც თავის თავში გულისხმობს დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს, ანუ სამი მხარის ჩართულობას, თანამონაწილეობას და სოლიდარულ პასუხისმგებლობას, — განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ პარლამენტში საჯარო და კერძო სექტორებს შორის გამართული დიალოგის დროს, რომლის მთავარი თემაც იყო — „საქართველოს კანონის პროექტი დაგროვებითი პენსიის შესახებ: უპირატესობები და გამოწვევები“.

როგორც ირაკლი კოვზანაძემ აღნიშნა, დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 45%) სოციალური ხარჯებია. მიუხედავად ამისა, პენსიონერები ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენაა. დღეს არსებული პენსიის ოდენობა (180 ლარი) საკმარისი არ არის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემას ვერ გადაჭრის პენსიის 10, 20 თუნდაც 60 ლარით გაზრდა. ამიტომაც, აუცილებელი და საჭიროა ფუნდამენტური ცვლილებები ამ მიმართულებით. კონკრეტულ დეტალებზე კი ვიმსჯელოთ, ვიფიქროთ და ერთობლივად შევიმუშაოთ ოპტიმალური საპენსიო მოდელი.

# რა შემთხვევაში შეძლებს უცხოური კომპანია მიწის ყიდვას




პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ დანელიას განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ ორგანული კანონი პარლამენტს, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს წარედგინება.

როგორც BM.ge-ის დანელიამ განუცხადა, კანონპროექტის ავტორი აგრარულ საკითხთა კომიტეტია და დოკუმენტის 90% უკვე დაწერილია.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში, მიწის შესახებ ორგანული კანონი საჯარო დაინტერესებული ჯგუფებისთვისაც გახდება.

დანელიას პროგნოზით, მარტის ბოლომდე ყველა კონსულტაცია და სამუშაო შეხვედრა დამთავრდება და მას შემდეგ, რაც მთავრობა მოიწონებს, კანონპროექტის განხილვა პარლამენტში დაიწყება.

როგორც აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემBM.ge-ის განუმარტა, უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეიძენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, ხოლო უცხო ქვეყნის ფიზიკური პირის მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ კომპანიებს, მიწის შეძენის შემთხვევაში, კონკრეტულად გაწერილი საინვესტიციო ვალდებულებების აღება მოუწევთ.

— იმ შემთხვევაში, თუ კომპანიაში არარეზიდენტის წილი 49%-ია და 51%-ს ქართველი ფლობს, მიწის გასხვისება სტანდარტულად მოხდება, საინვესტიციო ვალდებულების ჩადებით. ინვესტიციების ჭერი ჯერ დადგენილი არაა, ამაზე მთავრობასთანაც შევთანხმდებით; ხოლო თუ კომპანიაში უცხოელი ფლობს 51%-ს და მეტს, ამ შემთხვევაში, გასხვისება მთავრობის დისკრეციით მოხდება ანუ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობა და ამ გადაწყვეტილების მიღებისას ინვესტორს, კომპანიას მოუწევს წარმოადგინოს ინფორმაცია, თუ რა სტრატეგიული დანიშნულების პროექტზეა საუბარი, რა მოცულობის ინვესტიციებს ეხება საქმე, რამდენ ადამიანს დაასაქმებენ და ა.შ. ეს ყველაფერი კანონში გაიწერება და თუ ყველა ინსტანცია დადებით დასკვნას დაწერს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გასხვისდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, — განაცხადა დანელიამ.

კითხვაზე — მთავრობის დისკრეციის შემთხვევაში, ჩნდება თუ არა კორუფციის რისკები, ოთარ დანელია აცხადებს, რომ როცა საქმე ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებს ეხება, კორუფციულ რისკებზე საუბარი არასერიოზულია.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დარწმუნებულია იმაშიც, რომ ახალი ორგანული კანონი ინვესტორებს არ დააფრთხობს, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში უცხოურ ინვესტიციებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელება.

# სირია: პუტინმა პროცესებზე კონტროლი დაკარგა?!

## რა მოხდა დეირ-ეზ-ზორთან



სირიის ომი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. დეირ-ეზ ზორთან მომხდარმა ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეძრა. პირველად სირიის ომის განმავლობაში რუსეთმა უდიდესი დანაკარგები განიცადა. მტერთან შეტაკებისას 200 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ოფიციალურად უარყო.

— ამერიკელთა დარტყმის შედეგად დაიღუპა 5 და არა 200 რუსეთის მოქალაქე, — ამტკიცებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარია ზახაროვა.

ამერიკელი სამხედროები მომხდარის შესახებ ფრიად ძუნწ კომენტარებს აკეთებენ. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა, გენერალმა ჯეფრი ჰარიგიანმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სირიაში რუსეთსა და აშშ-ს საერთო მტრები ჰყავთ. ესაა ტერორისტული ორგანიზაციები „ალ-ქაიდა", „ისლამური სახელმწიფო" და ა.შ. ჰარიგიანმა ხაზი გაუსვა, რომ რუს და ამერიკელ სამხედროებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ინფორმაციების გაცვლასაც ინტენსიური ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, სირიის არმიამ ირანელი ჯარისკაცებისა და რუსი დაქირავებულების თანხლებით იერიში მიიტანა ტერიტორიაზე, რომელსაც სირიის დემოკრატიული ძალები აკონტროლებენ.

— ჩვენც იძულებულნი გავხდით, საპასუხო ცეცხლი გაგვეხსნა, რათა ჩვენი მოკავშირეები დაგვეცვა, — ამბობს ჰარიგიანი.

გენერალმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ შეტევა გულმოდგინედ მზადდებოდა. მტერმა სირიის დემოკრატიული ძალების პოზიციებს ჯერ სარაკეტო ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი შეტევაზე გადავიდა. ჰარიგიანმა აღნიშნა, რომ რუსებთან არსებობს შეთანხმება: ტერიტორია, რომელსაც სირიის დემოკრატიული ძალები აკონტროლებენ, ხელშეუხებელია. შეტევები ხორციელდება იმ ადგილებზე, სადაც ისლამისტები იმყოფებიან. მიუხედავად ამისა, რუსეთმა შეთანხმება დაარღვია. აშშ-სგან ამას მწვავე რეაქცია მოჰყვა.

ექსპერტი დენიელ გურე, მიმოიხილავს რა სირიაში შექმნილ მდგომარეობას, ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთს ამ რეგიონში ინტერესი არ გააჩნია. პუტინმა სირიის ომი მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ უკრაინაში თავისი მარცხი გადაეფარა. ამავე დროს, სირიაში თავისი ინტერესები გააჩნია ირანს, რომელიც რუსეთის მოკავშირეა. ირანელები უკვე აწყობენ ბაზებს, ახორციელებენ სამხედრო დარტყმებს მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ამას აკეთებენ ისე, რომ რუსებს არაფერს ეკითხებიან.

— ირანმა განახორციელა დარტყმა ისრაელის ტერიტორიაზე და რუსეთი მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა, — აცხადებს გურე.

ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ ტრამპი პრინციპული პიროვნებაა. მისთვის მთავარია არა მშვიდობა ნებისმიერ ფასად, არამედ აშშ-ის ინტერესების დაცვა. ტრამპს შეუძლია აგრესიულ ქმედებებზე წასვლა. ამიტომაც უყოყმანოდ გასცა ბრძანება ცეცხლის გახსნის შესახებ.

— მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც არ შეიძლება იმისი თქმა, რომ რუსეთი სირიის ჭაობში საბოლოოდ ჩაეფლო, — ამბობს გურე.

კრემლს კიდევ შეუძლია, ამ კონფლიქტიდან თავაწეული გამოვიდეს. საამისოდ დასავლეთთან, უწინარეს ყოვლისა, აშშ-სთან დიალოგია აუცილებელი.

# ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ლიდერი ხდება?



მარიამ მჭედლიშვილი

ახლო აღმოსავლეთი, მათ შორის, სირია, რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილად. რეგიონში მიმდინარეობს ბრძოლა გავლენისათვის. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, დღევანდელი მდგომარეობით, ახლო აღმოსავლეთის ლიდერი ისრაელი ხდება.

თურქეთის მიერ სირიაში ქურთების შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ოპერაციას, სახელწოდებით „ზეთისხილის რტო", რამდენიმე დღის წინ დაემატა დაპირისპირება ისრაელს, ირანსა და სირიას შორის.

ისრაელმა ჩამოაგდო ირანის თვითმფრინავი, რომელიც მის საჰაერო სივრცეში შეიჭრა. სირიის საჰაერო ძალების საპასუხო მოქმედებების შედეგად ჩამოგდებულ იქნა ისრაელის გამანადგურებელი. სამმხრივი ურთიერთდარტყმების შემდეგ ისრაელმა მთელი რიგი ავიაიერიშები განახორციელა სირიის, ირანისა და „ჰესბოლას" ობიექტების წინააღმდეგ სირიაში.

ის, ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ ისრაელისათვის სარისკო იერიშს არ მოჰყოლია სირიისა და ირანის საპასუხო რეაქცია, ამერიკელ ექსპერტებს აძლევს ახალი დასკვნების გამოტანის საფუძველს. მათი თქმით, დამასკოს, რომელმაც გადაიტანა ომი მეამბოხეებთან და ტერორისტულ დაჯგუფებებთან, არ შესწევს ძალა, ჩაებას ომში ისრაელის კარგად გაწვრთნილ და აღჭურვილ ჯართან.

ისრაელის რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოგდება პირველად მოხდა 30 წლის განმავლობაში, თუმცა, ამერიკელი ანალიტიკოსების სიტყვებით, ამ ფაქტის გადაჭარბებულად შეფასება სწორი არ იქნება. ეს არ არის ის მასშტაბი, რომელიც სერიოზულად შეცვლის ძალთა ბალანსსა და თამაშის წესებს ახლო აღმოსავლეთში. რუსეთმა და სირიამ სამოქალაქო ომისას ბევრი თვითმფრინავი დაკარგეს, მაგრამ თავისი გავლენის რაიონებში საჰაერო სივრცის კონტროლი მათაც კი არ დაუკარგავთ.

ავტორების აზრით, იკვეთება ისრაელის ძალა და წამყვანი როლი რეგიონში. ისინი არ ეთანხმებიან იმ ანალიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ, რომ ამ დაპირისპირებამ კონფლიქტი რეგიონში ახალ სტრატეგიულ ფაზაში შეიყვანა. ირანს არ გამოუვიდა თამაშის ახალი წესების შემოტანა. ირანის უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივანმა ალი შამხანიმ განაცხადა, რომ მთავრდება პერიოდი, როცა ისრაელს დაუსჯელად შეეძლო, გამოეყენებინა თავდასხმისა და გაცლის ტაქტიკა.

ამერიკელი ექსპერტების თქმით, უსაფუძვლოა იმის თქმა, თითქოს ისრაელმა დაკარგა უპირატესობა საჰაერო სივრცეში.

მათი განმარტებით, სარისკო მდგომარეობა შეექმნათ დამასკოში განლაგებულ ირანის სამხედრო ქვედანაყოფებს. ისინი ისრაელთან უფრო ახლოს იმყოფებიან, ვიდრე ირანთან. ეს დანაყოფები ადვილად გახდებიან საჰაერო იერიშის ობიექტნი.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების კონტრდარტყმის შედეგად პროირანული სახელმწიფოების ღერძმა უკან დაიხია. რუსეთმა ესკალაციის დროს ყველა მხარეს თავშეკავებისაკენ მოუწოდა და თეირანის პროვოკაცია არ მოიწონა.

ანალიტიკოსების აზრით, ამ ინციდენტებმა საფრთხეში ჩააგდო რუსეთის პროექტი სირიაში, რომელიც მიზნად ისახავს ასადის გადარჩენას.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ შეჯახებები ისრაელის ჩრდილოეთ საზღვარზე მომავალშიც მოხდება.

მათი აზრით, ახლო აღმოსავლეთის ბედი ისრაელის ხელში აღმოჩნდა. რეგიონში, რომელიც ქაოსმა მოიცვა, ისრაელი იმ მცირერიცხოვანი სახელმწიფოების რიგშია, სადაც სტაბილურობაა.

ისრაელი ეწინააღმდეგებოდა ირანთან „ბირთვული შეთანხმების" დადებას. იმ პერიოდში თელ ავივი იძულებული გახდა, კონტაქტები დაემყარებინა ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოსთან. მაშინ დაიწყო ისრაელის არაოფიციალური ურთიერთობები ეგვიპტესთან და საუდის არაბეთთან. ეს უფრო აძლიერებს ამ ქვეყნის პოზიციას.

# თეთრმა სახლმა რუსეთი კიბერშეტევაში დაადანაშაულა



თეთრმა სახლმა რუსეთი კომპიუტერული ვირუსის ნოტ პეტიას გავრცელებაში დაადანაშაულა.

კიბერშეტევა 2017 წლის ივნისში განხორციელდა და როგორც უკრაინაში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში მილიარდობით ზარალი გამოიწვია.

თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსული კიბერშეტევის უმთავრესი სამიზნე უკრაინა იყო. ვირუსის გაშვებით კრემლი უკრაინის დესტაბილიზაციას შეეცადა.

— ეს სათანადო საერთაშორისო რეაგირების გარეშე არ დარჩება, — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ამასობაში აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრებმა კონგრესში ახალი კანონპროექტი შეიტანეს. ამის შესახებ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ნენსი პელოკი იუწყება.

— ჩვენი კანონპროექტი არჩევნებზე კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისკენაა მიმართული, — ამბობს პელოკი.

რამდენიმე დღით ადრე აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ უახლოესი ამერიკული არჩევნებისას რუსების მხრივ კიბერშეტევების ალბათობა დიდია.

— რუსები არჩევნებში კვლავაც ჩაერევიან, — ამბობენ ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენლები.

# დონბასელ სეპარატისტებს იანუკოვიჩის ვაჟი აფინანსებდა



რუსეთის სახელმწიფო დუმის ყოფილმა დეპუტატმა, ილია პონომარიოვმა, განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე დონბასელ სეპარატისტებს, კერძოდ, ე.წ. დონეცკ- ლუგანსკის რესპუბლიკებს, უკრაინის ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ვაჟი ალექსანდრე აფინანსებდა.

— კრემლში მას პირდაპირ განუცხადეს: მილიარდები მოგეცით, შენ და მამაშენიც შეგვპირდით, რომ ევროკავშირისა და ნატოსაკენ არ წახვალთ, თქვენ კი ქვეყანა დაკარგეთ, ჰოდა, კეთილი ინებეთ, თქვენი სისულელე გამოისყიდეთ, — ამბობს პონომარიოვი.

ექსდეპუტატის აზრით, ალექსანდრე იანუკოვიჩმა ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებს 2014 წელს 5 მილიარდამდე დოლარი გადაურიცხა და ამით მისი, როგორც სპონსორის, როლი ამოიწურა.

— დღეს დონბასელ სეპარატისტებს როგორც რუსი ოლიგარქები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურები აფინანსებენ. ცალკე საუბრის თემაა იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობით შემოსული თანხა! სეპარატისტებიც ფულის ნაკლებობას არ უჩივიან! — ამბობს პონომარიოვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ოდესის მერი თავდებით გამოუშვეს





კიევის სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა ოდესის მერი ტრუხანოვი. მას ბრალად ედება სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისება.

სასამართლოს შენობასთან, სადაც ტრუხანოვის საქმე ირჩეოდა, მოხდა სროლა. დაიჭრა პოლიციელი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



სამხრეთ აფრიკას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს პოსტი მმართველი პარტიის, აფრიკის ნაციონალური კონგრესის, წარმომადგენელმა, რამაფოსმა, დაიკავა.

წინა პრეზიდენტი რამდენიმე დღის წინ გადადგა. მას ბრალად კორუფცია დასდეს.

# მარიამ ხაჭვანი: „ვერ შევეგუები ისტორიული ძეგლების განადგურებას“

ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ხაჭვანი სვანეთში ლამარიას ეკლესიასთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე წუხს. ხელოვანს არ მოსწონს, რომ იქაურობა გადააკეთეს, მე-11 საუკუნის ისტორია წაშალეს, კლდოვანი იატაკი მეტლახით შეცვალეს და საცხოვრებლად გადააკეთეს:

— აქამდე თავს ვიკავებდი, ეს დამეწერა საჯაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მეტკინა გული...

ჩვენი სახლი უშგულში ლამარიის ეკლესიის ეზოში დგას. ეზოს იმიტომ ვიძახი, რომ ჩვენი სახლის ჭიშკარი და ლამარიის ეკლესიის გალავანი ერთმანეთზე არის მიბჯენილი. საათობით ვიჯექი ლამარიის ეზოში და ვუყურებდი მწვერვალს, მზის ჩასვლას, ცად აწვდილ მთებს, ღრუბლებს. შემდეგ შევდიოდი ლამარიის ციხე-კოშკში. კოშკს ორი დარბაზი ამშვენებს, რომელიც მე-11-12 საუკუნეებით თარიღდება. დარბაზებში „ჰლშა ობიში“ ტარდებოდა, „კუთხეში მდგარ ძველ ფეჩში“ „ლემზირლები“ ცხვებოდა, მთელი სოფლის ქალები იკრიბებოდნენ და ვლოცულობდით. სხვა დროს მარტო ვიჯექი სულ...

მარტო იქ მიყვარდა მარტო ყოფნა...

ერთი გრძელი მორი იყო კუთხეში, სადაც ვიჯექი, საათობით ვიჯექი და ბედნიერი ვუყურებდი ძველისძველ კედლებს, რომელსაც მური და მტვერი ჰქონდა, რომლებსაც წინაპრების ხელები ეტყობოდა, უცხო და თბილი სუნი ასდიოდათ კედლებს, სიძველისა და სამშობლოს სუნი. იატაკიც განსაკუთრებული იყო, განსხვავებული, კლდეზე აშენებული ციხე-კოშკი და კლდოვანი იატაკი, მახსოვს, ერთხელ ფეხიც კი დამიცდა...

მსგავსი ტიპის ისტორიული ორი ძეგლი, კლდეზე აშენებული და იმ ფორმით შენარჩუნებული, არა მარტო უშგულში, როგორც ვიცი, საქართველოშიც არ იყო...



ძალიან ლამაზად თქვა გიორგი ნაზღაიძემ ჯაჯანიძის შოუში სათქმელი, რომ ორი წლის ბავშვმაც უნდა იცოდეს ისტორიული ძეგლის მოფრთხილება. მე თავი შევიკავე, მაგრამ მინდოდა, ხმამაღლა მეყვირა, რომ ჩემი ლამარიას დარბაზები, ხო, ჩემი ლამარიას, მე იმ ეზოში ვარ დაბადებული და გაზრდილი, გადააკეთეს, მე-11 საუკუნის ისტორია წაშალეს, კლდოვანი იატაკი მეტლახით შეცვალეს და საცხოვრებლად გადააკეთეს..

ძალიან ბევრი ვიტირე...

მის მერე ლამარიას ეზოში არ დავმჯდარვარ...

მედალს ორი მხარე აქვს, რა თქმა უნდა, მივესალმები მოქმედ ტაძარს, პატივს ვცემ მამა იოანესა და მის მხარდამჭერს, მოქმედი რომ გახადეს უშგულის ლამარიის ტაძარი, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, საცხოვრებლად ცალკე კელიები აეშენებინათ და ჩვენთვის მე-11-12 საუკუნის ისტორია არ წაეშალათ?! ადგილი ყველგან იყო კელიების ასაშენებლად...

მაგრამ მე პატივი ვეცი მათ, გავჩუმდი და გაჩუმება ცუდად მომიბრუნდა.

სამწუხაროდ მამა იოანემ დატოვა უშგული, განაწყენებულმა მხარდამჭერებმა კი გააზრებულად თუ გაუაზრებლად ლამარიას ციხე-კოშკს საქონლის სადგომი უწოდეს და სულ არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რამხელა შეურაცხყოფა მიაყენეს უშგულს, რამხელა შეურაცხყოფა მომაყენეს მე. მე ხომ ნახევარი ცხოვრება იმ კედლებში გავატარე.

30 წლის წინ იმ დარბაზებში შედიოდა საქონელი, შემდეგ ბიძაჩემმა, რამაზ ჩარკვიანმა, შემოამარგვლინა ლამარიის ეზო, უდიდესი გალავანი გაუკეთა. ვინც ნამყოფია უშგულში, ეცოდინება. საქონელი არ შედიოდა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, ტურისტი თუ დატოვებდა კარს ღიას. თუმცა, არა მგონია, იმ ეზოში არაუშგულელი ჩემზე ხშირად იყოს ნამყოფი და მე არცერთხელ მინახავს იქ საქონელი.

ბიძაჩემმა ეს ისტორიული ძეგლი ამ ფორმით შეინარჩუნა და მათ ევრორემონტი გააკეთეს იმ მიზეზით, ძროხა რომ არ შეიპაროს.

რა ლოგიკაა ეს, ამიხსნით!

კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რომ მამაოს პატივს ვცემ და მის მხარდამჭერებს იმ ამაგისთვის, უშგულის ეკლესია მოქმედი რომ გახადეს და კიდევ ზაგაროს უღელტეხილზე ეკლესია რომ აშენდა, იმაში შეტანილი წვლილისთვის, მაგრამ მე ვერ შევეგუები ისტორიული ძეგლების განადგურებას, მით უმეტეს, რომ ამ ძეგლების შეხების გარეშეც შეიძლებოდა კელიების აშენება!

# ლევილის მამულის უკანასკნელი არქივი ეროვნულ არქივს გადაეცემა



ლევილის მამულის უკანასკნელი არქივის დაბრუნებისა და საქართველოს ეროვნულ არქივში მამია და ქრისტიანე ბერიშვილების ფონდის შექმნის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეროვნულ არქივსა და მამია ბერიშვილის შთამომავალს, ტიერი ბერიშვილს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

ლევილის მამულის უკანასკნელი არქივის საქართველოში დაბრუნება სიმბოლურად საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს უკავშირდება. ეს შეთანხმება ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნების წარმატებული მოლაპარაკებისას საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და მამია ბერიშვილის შვილს, ტიერი ბერიშვილს შორის შედგა.

— ჩვენ ხელს ვაწერთ საქართველოს ეროვნულ არქივში მამია ბერიშვილისა და მისი მეუღლის ფონდის დაფუძნებას. ამ ფონდში მათი შვილი, ტიერი ბერიშვილი შეიტანს ყველა იმ დოკუმენტს, რომელთაც მამია ბერიშვილი ინახავდა და უვლიდა ლევილის მამულთან ერთად. დღეს მამის საქმეს ბატონი ტიერი აგრძელებს. მადლობა მას, რომ გადაწყვიტა, ეს დოკუმენტები ეროვნული არქივისათვის გადმოეცა, — განაცხადა მემორანდუმის ხელმოწერისას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

ტიერი ბერიშვილმა კი საზეიმო ღონისძიებაზე აღნიშნა:

— მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელიც 2015 წელს, როდესაც ლევილის შატოს გადმოცემის მოლაპარაკებები შევიდა ჩიხში, სწრაფად ჩასწვდა პრობლემების ბუნებას და მისი დიდი დამსახურებაა, რომ სწრაფად გადაწყდა ეს საკითხი და მიღწეულ იქნა მემორანდუმის ხელმოწერა. ამჯერად ჩვენ ვთანხმდებით, რომ ლევილის არქივების ბოლო ნაწილს ჩამოვიტანთ აქ, საქართველოს გულში. ამ არქივში ინახება ის საბუთები, რომლებიც დაკავშირებულია ლევილის შატოს შეძენასთან. აქვეა ჩვენი დიდი წინაპრების ანდერძი და ლევილის უკანასკნელი არქივიც აქ დაიდებს ბინას.

მამია და ქრისტიანე ბერიშვილები ლევილის მამულს 20 წლის განმავლობაში მართავდნენ. 1995 წლიდან მამია ბერიშვილმა საზღვარგარეთ არსებული ბიუროდან წამოიწყო ემიგრაციაში 1921 წლიდან მყოფი საქართველოს მთავრობის არქივის დაბრუნების ხანგრძლივი პროცესი. შედეგად, მამია ბერიშვილმა 1995-1996 წლებში 450 კგ არქივი გადასცა იმ პერიოდის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას, მამიას გარდაცვალების შემდეგ კი, მისივე სურვილისამებრ, 2015 წელს მისი პირადი არქივი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივის დარჩენილი ნაწილი გადაეცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მემორანდუმის თანახმად, ეროვნულ არქივს გადაეცემა ლევილის მამულის უკანასკნელი არქივი მისი შენახვის, დაცვისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ეროვნული არქივის სპეციალისტების მიერ მასალის შესწავლისა და დამუშავების შემდეგ საარქივო კოლექციას მიენიჭება სახელი: „მამია და ქრისტიანე ბერიშვილების ფონდი“. არქივი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

## პეტრე ოცხელის „მფრინავი მღებავი“ რუსთაველის გამზირზე გამოფინეს



ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნამუშევარი, „მფრინავი მღებავი“, დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე გამოფინეს.

მხატვრის 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლემ არაერთი პროექტი განახორციელა. ოცხელის ნამუშევრებმა დატოვა მუზეუმის საცავები და სხვადასხვა სივრცეში განთავსდა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

— ესეც ჩვენი პეტრე ოცხელი.

ჩვენთან დაცული პეტრე ოცხელის „მფრინავი მღებავი“ ქვეყნის მთავარ პროსპექტზე, აი, ასეთი სახით იქნება წარმოდგენილი!

საქართველოში სამუზეუმო ექსპონატისა და მხატვრის პოპულარიზაციის უიშვიათესი, თუ ერთადერთი შემთხვევაა!

მიხარია, რომ მუზეუმისა და თიბისი ბანკის ურთიერთთანამშრომლობა ასეთი სამაგალითო გამოვიდა!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ინგლისის გარეშე ევროპა მშვიდია

## სტატისტიკა, ფსონები

**შედარებით მშვიდი ტური ევროპაში. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ამ უქმეებზე ინგლისი ისვენებს. თუმცა, ერთი გამორჩეული მატჩი მაინც არის – იტალიაში ტურინული დერბია და ტორინო „შინ" დაუხვდება იუვენტუსს.**



### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.02 ლას პალმასი-სევილია | 3.5 | 3.6 | 2.0 |
| 17.02 ეიბარი-ბარსელონა | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 17.02 ალავესი-დეპორტივო | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 17.02 მალაგა-ვალენსია | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 18.02 სოსიედადი-ლევანტე | 1.55 | 4.33 | 5.5 |
| 18.02 ატლეტიკო-ბილბაო | 1.44 | 4.0 | 8.5 |
| 18.02 ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 18.02 ბეტისი-რეალი | 8.0 | 6.0 | 1.3 |
| 19.02 ხეტაფე-სელტა | 2.45 | 3.25 | 2.9 |

**ლას პალმასი-სევილია**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო, სებასტიან ყორშია, სიმონ კიაერი

**ეიბარი-ბარსელონა**

ეიბარი: ***ტრავმ***-სერჟ ენრიხი, პაულო ოლივეირა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი

**ალავესი-დეპორტივო**

ალავესი: ***ტრავმ***-ექტორი

დეპორტივო: ***ტრავმ***-სიდნეი

**მალაგა-ვალენსია**

მალაგა: ***ტრავმ***-ხუანკარი

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო მორენო, ანდრეს პერეირა, ეზეკიელ გარაი, ჯესონ მურილო

**სოსიედადი-ლევანტე**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ადნან იანუზაი, ვილიამ ჟოზე

ლევანტე: ***ტრავმ***-ჯეფერსონ ლერმა, რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

**ატლეტიკო-ბილბაო**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სტეფან სავიჩი

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუნიაინი

**ესპანიოლი-ვილიარეალი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ადრია ლოპეს კაროტე

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რუბენ სემედო, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

**ბეტისი-რეალი**

ბეტისი: ***ტრავმ***-ზუჰარ ფედალი, ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

რეალი: ***ტრავმ***-ხესუს ვალიეხო

**ხეტაფე-სელტა**

ხეტაფე: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 18 | 5 | 0 | 60-11 | 59 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 15 | 7 | 1 | 34-9 | 52 |
| 3.ვალენსია | 23 | 13 | 4 | 6 | 45-27 | 43 |
| 4.რეალი | 22 | 12 | 6 | 4 | 50-23 | 42 |
| 5.ვილიარეალი | 23 | 11 | 4 | 8 | 34-28 | 37 |
| 6.სევილია | 23 | 11 | 3 | 9 | 29-34 | 36 |
| 7.ეიბარი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-34 | 35 |
| 8.ბეტისი | 23 | 10 | 3 | 10 | 38-45 | 33 |
| 9.სელტა | 23 | 9 | 5 | 9 | 41-34 | 32 |
| 10.ხირონა | 23 | 8 | 7 | 8 | 31-30 | 31 |
| 11.ხეტაფე | 23 | 7 | 9 | 7 | 26-21 | 30 |
| 12.ლეგანესი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-22 | 29 |
| 13.ბილბაო | 23 | 6 | 10 | 7 | 24-25 | 28 |
| 14.სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 43-45 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 16.ალავესი | 23 | 8 | 1 | 14 | 21-33 | 25 |
| 17.ლევანტე | 23 | 3 | 11 | 9 | 21-35 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 23 | 5 | 3 | 15 | 17-50 | 18 |
| 19.დეპორტივო | 23 | 4 | 5 | 14 | 24-52 | 17 |
| 20.მალაგა | 23 | 3 | 4 | 16 | 14-36 | 13 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.02 კიოლნი-ჰანოვერი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 17.02 ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 17.02 ფრაიბურგი-ვერდერი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 17.02 ვოლფსბურგი-ბაიერნი | 7.5 | 4.75 | 1.4 |
| 17.02 შალკე-ჰოფენჰაიმი | 2.05 | 3.5 | 3.4 |
| 18.02 აუგსბურგი-შტუტგარტი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 18.02 გლადბახი-დორტმუნდი | 3.0 | 3.75 | 2.15 |
| 19.02 აინტრახტი-ლაიპციგი | 2.8 | 3.5 | 2.4 |

**კიოლნი-ჰანოვერი**

კიოლნი: ***ტრავმ***-კრისტიან კლემენსი, ტიმ ჰანდვერკერი, ლეონარდო ბიტენკურტი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჯოელ სარენსენ ბაზიი, ჯონატასი, ფელიპე

**ჰამბურგი-ლევერკუზენი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

**ფრაიბურგი-ვერდერი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იორიკ რავე, მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხნერი

ვერდერი: ***ტრავმ***-იშაკ ბელდოფი, ოლე კაუპერი, ლამინე სანე, ფინ ბარტელსი

**ვოლფსბურგი-ბაიერნი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მარსელ ტისერანდი, იანიკ გერჰარდტი, ფელიქს უდუოკაი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

ბაიერნი: ***ტრავმ***-მანუელ ნოიერი

**შალკე-ჰოფენჰაიმი**

შალკე: ***ტრავმ***-ვესტონ მაკკენი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კარემ დემირბეი, ფელიქს პასლაკი

**აუგსბურგი-შტუტგარტი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ ოპარე, ალფრედ ფინბოგასონი, ჯეფრი გუველეუვი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ებენეზერ ოფორი, მატის ციმერმანი

**გლადბახი-დორტმუნდი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ოსკარ ვენდტი, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმა ტრაორე, ლასლო ბენეში

დორტმუნდი: ***ტრავმ***-იადონ სანჩო, ანდრეი იარმოლენკო, მაქსიმილიან ფილიპი

**აინტრახტი-ლაიპციგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ ჰალსტენბერგი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 18 | 2 | 2 | 53-17 | 56 |
| 2.ლაიპციგი | 22 | 11 | 5 | 6 | 35-29 | 38 |
| 3.დორტმუნდი | 22 | 10 | 7 | 5 | 47-29 | 37 |
| 4.აინტრახტი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-25 | 36 |
| 5.ლევერკუზენი | 22 | 9 | 8 | 5 | 41-29 | 35 |
| 6.შალკე | 22 | 9 | 7 | 6 | 34-29 | 34 |
| 7.აუგსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-28 | 31 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 7 | 7 | 36-35 | 31 |
| 9.ჰანოვერი | 22 | 8 | 7 | 7 | 31-32 | 31 |
| 10.გლადბახი | 22 | 9 | 4 | 9 | 30-34 | 31 |
| 11.ჰერტა | 22 | 7 | 9 | 6 | 30-28 | 30 |
| 12.ფრაიბურგი | 22 | 5 | 10 | 7 | 23-37 | 25 |
| 13.ვოლფსბურგი | 22 | 4 | 12 | 6 | 25-28 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 22 | 7 | 3 | 12 | 18-27 | 24 |
| 15.ვერდერი | 22 | 5 | 8 | 9 | 21-27 | 23 |
| 16.მაინცი | 22 | 5 | 5 | 12 | 26-41 | 20 |
| 17.ჰამბურგი | 22 | 4 | 5 | 13 | 17-32 | 17 |
| 18.კიოლნი | 22 | 3 | 4 | 15 | 19-41 | 13 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.02 უდინეზე-რომა | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 17.02 კიევო-კალიარი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 17.02 ჯენოა-ინტერი | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 18.02 ტორინო-იუვენტუსი | 5.0 | 3.6 | 1.73 |
| 18.02 ბოლონია-სასუოლო | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 18.02 ნაპოლი-სპალი | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 18.02 ბენევენტო-კროტონე | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 18.02 ატალანტა-ფიორენტინა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 18.02 მილანი-სამპდორია | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 19.02 ლაციო-ვერონა | 1.2 | 7.0 | 12.0 |

**უდინეზე-რომა**

უდინეზე: ***ტრავმ***-სტიპე პერიცა, გაბრიელ ანგელა, ანტონინ ბარაკი, ალი ადნანი

რომა: ***ტრავმ***-ლკა პელეგრინი, მაქსიმ გონალონი, ბრუნო პერესი, ფედერიკო ფაციო, დანიელე დე როსი

**კიევო-კალიარი**

კიევო: ***ტრავმ***-ნენად ტომოვიჩი, ლუკას კასტრო

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა გიგარინი, ლუკა ჩეპიტელი

**ჯენოა-ინტერი**

ჯენოა: ***ტრავმ***-არმანდო იზზო, ალესანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო, ლუკა როზეტინი

ინტერი: ***ტრავმ***-ედერი, მაურო იკარდი, მარსელო ბროზოვიჩი

**ტორინო-იუვენტუსი**

ტორინო: ***ტრავმ***-მბაიე ნიანგი, ლიანჩო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ბლეზ მატუიდი, პაულო დიბალა, ხუან კუადრადო

**ბოლონია-სასუოლო**

ბოლონია: ***ტრავმ***-სებასტიან დე მაიო, სიმონე ვერდი, ანგელო და კოსტა, ანტონიო მირანტე, როდრიგო პალასიო, ფილიპ ჰელანდერი

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ტიმო ლეჰერტი

**ნაპოლი-სპალი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-მარიო რუი, ჟორჟინიო, არკადიუშ მილიკი

სპალი: ***ტრავმ***-ფედერიკო მატიელი, ტიაგო ციონეკი, ფილიპე, ეროს სკიავონი, მარკო ბორიელო

**ბენევენტო-კროტონე**

ბენევენტო: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

კროტონე: ***ტრავმ***-როლანდო მანდრაგორა, ფედერიკო რიკი, ფედერიკო ჩეჩერინი, მარიო სამპირისი, არისტოტელეს რომერო, ადრიან სტოიანი, ალექსანდარ ტონევი, მარკო ტუმინელო

**ატალანტა-ფიორენტინა**

ატალანტა: ***ტრავმ***-მატია კალდარა, ალეხანდრო გომესი, ლუკა რიცო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვინსენტ ლორინი, სიმონე ლო ფასო, ფედერიკო კიეზა, მილან ბადელი

**მილანი-სამპდორია**

მილანი: ***ტრავმ***-ნიკოლა კალინიჩი, ფრანკ კესიე, ანდრეა კონტი

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ლუკას ტორეირა, დენის პრაე

**ლაციო-ვერონა**

ლაციო: ***ტრავმ***-ფელიპე ანდერსონი, ლუკას ლეივა, დავიდე დი ჯენარო

ვერონა: ***ტრავმ***-ანტონიო კარაკიოლო, რომულო, ალესიო ჩერჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 20 | 3 | 1 | 54-15 | 63 |
| 2.იუვენტუსი | 24 | 20 | 2 | 2 | 61-15 | 62 |
| 3.ინტერი | 24 | 13 | 9 | 2 | 40-19 | 48 |
| 4.რომა | 24 | 14 | 5 | 5 | 38-19 | 47 |
| 5.ლაციო | 24 | 14 | 4 | 6 | 59-33 | 46 |
| 6.სამპდორია | 24 | 12 | 5 | 7 | 44-32 | 41 |
| 7.მილანი | 24 | 11 | 5 | 8 | 34-30 | 38 |
| 8.ატალანტა | 24 | 10 | 7 | 7 | 36-28 | 37 |
| 9.ტორინო | 24 | 8 | 12 | 4 | 35-29 | 36 |
| 10.უდინეზე | 24 | 10 | 3 | 11 | 36-34 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 24 | 8 | 7 | 9 | 33-31 | 31 |
| 12.ჯენოა | 24 | 7 | 6 | 11 | 19-25 | 27 |
| 13.ბოლონია | 24 | 8 | 3 | 13 | 29-37 | 27 |
| 14.კალიარი | 24 | 7 | 4 | 13 | 22-34 | 25 |
| 15.სასუოლო | 24 | 6 | 5 | 13 | 14-41 | 23 |
| 16.კიევო | 24 | 5 | 7 | 12 | 21-41 | 22 |
| 17.კროტონე | 24 | 5 | 6 | 13 | 19-41 | 21 |
| 18.სპალი | 24 | 3 | 8 | 13 | 23-46 | 17 |
| 19.ვერონა | 24 | 4 | 4 | 16 | 22-48 | 16 |
| 20.ბენევენტო | 24 | 2 | 1 | 21 | 15-56 | 7 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 17.02 პსჟ-სტრასბური | 1.04 | 15.0 | 29.0 |
| 17.02 კაენი-რენი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 17.02 ამიენი-ტულუზა | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 17.02 ტრუა-მეცი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 17.02 ანჟე-სტ.ეტიენი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 17.02 მონპელიე-გენგამი | 1.65 | 3.3 | 5.0 |
| 18.02 ნიცა-ნანტი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 18.02 ლილი-ლიონი | 4.0 | 3.5 | 1.91 |
| 18.02 მარსელი-ბორდო | 1.67 | 4.0 | 4.8 |

**პსჟ-სტრასბური**

პსჟ: ***ტრავმ***-ლავინ კურზავა, ტიაგო მოტა

სტრასბური: ***ტრავმ***-ალექსანდერ ოუკიჯა, ბენჯამინ კორნე

**კაენი-რენი**

კაენი: ***ტრავმ***-ვინსენტ ბესა, ადამა მბენგუე

რენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ ანდრე, ლუდოვიკ ბაალი

**ამიენი-ტულუზა**

ამიენი: ***ტრავმ***-სერჟ გაკპე, ქვენტინ კორნე, გუსუმა ფოფანა

ტულუზა: ***ტრავმ***-სომალია

**ტრუა-მეცი**

ტრუა: ***ტრავმ***-რემი ვალტერი, ჰიუნ ჯუნ სუკი, კრისტოფ ჰერელე, ტრისტან დინგომე

მეცი: ***ტრავმ***-მეტიუ დოსევი, ბენუა ასოუ-ეკოტო, მილან ბიშევაჩი, ტომას დიდილონი, კაფუ, მეტიუ უდოლი, აბლი ილლოუ

**ანჟე-სტ.ეტიენი**

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ჩეიკ მბენგუე, რემი კაბელა, რონაელ პიერ გაბრიელი

**მონპელიე-გენგამი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟერომ რუსილონი

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონატან მარტინს პერეირა, აბდულ კამარა

**ნიცა-ნანტი**

ნიცა: ***ტრავმ***-მაქსიმ ლე მარშანდი, კრისტოფ ჟალე

ნანტი: ***ტრავმ***-იანიკ ბემო, კალიფა კულიბალი

**ლილი-ლიონი**

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარუ, კევინ მალკო

ლიონი: ***ტრავმ***-რაფაელი

**მარსელი-ბორდო**

მარსელი: ***ტრავმ***-გრეგუარ სერტიჩი

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი, იგორ ლევჩუკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 21 | 2 | 2 | 76-17 | 65 |
| 2.მონაკო | 25 | 16 | 5 | 4 | 60-26 | 53 |
| 3.მარსელი | 25 | 15 | 7 | 3 | 55-29 | 52 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 54-30 | 48 |
| 5.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 26-26 | 38 |
| 6.მონპელიე | 25 | 9 | 10 | 6 | 23-20 | 37 |
| 7.ბორდო | 25 | 10 | 5 | 10 | 32-34 | 35 |
| 8.რენი | 25 | 10 | 4 | 11 | 30-33 | 34 |
| 9.ნიცა | 25 | 10 | 4 | 11 | 31-37 | 34 |
| 10.გენგამი | 25 | 9 | 6 | 10 | 25-32 | 33 |
| 11.კაენი | 25 | 9 | 4 | 12 | 18-28 | 31 |
| 12.დიჟონი | 24 | 9 | 4 | 11 | 36-48 | 31 |
| 13.სტრასბური | 25 | 8 | 6 | 11 | 30-42 | 30 |
| 14.სტ.ეტიენი | 25 | 8 | 6 | 11 | 26-40 | 30 |
| 15.ტულუზა | 25 | 7 | 5 | 13 | 22-33 | 26 |
| 16.ლილი | 25 | 7 | 5 | 13 | 23-39 | 26 |
| 17.ამიენი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-30 | 25 |
| 18.ანჟე | 25 | 5 | 10 | 10 | 27-38 | 25 |
| 19.ტრუა | 24 | 7 | 3 | 14 | 23-34 | 24 |
| 20.მეცი | 25 | 5 | 3 | 17 | 23-46 | 18 |

*მიამზადა მიხეილ ყორყოლაძემ*

# ჩისკოს ციხე ემუქრება



ალბათ ბევრს ახსოვს ჩისკო მუნიოსი, რომელიც 2011-14 წლებში თბილისის დინამოში თამაშობდა და ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი. ახლა ესპანეთში მუშაობს და, წესით, მშვიდი ცხოვრება უნდა ჰქონოდა, მაგრამ ძველი „ცოდვები" ამოუქექეს. თუმცა, არა მარტო ჩისკოს...

ესპანეთის პროკურატურამ ხელახლა გახსნა სკანდალური საქმე, რომელიც 2011 წლის ლა ლიგის მატჩს უკავშირდება სარაგოსასა და ლევანტეს შორის. პროკურატურა რეკომენდაციას უწევს სასამართლოს, რომ ამ სკანდალში გარეული ბრალდებულები 2-2-წლიანი ციხითა და 6-6-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯოს.

სარაგოსასა და ლევანტეს დაპირისპირება ბოლო ტურის მატჩი იყო. ორივე გუნდის ფეხბურთელები შეთანხმდნენ, რომ სარაგოსა უნდა დარჩენილიყო ლა ლიგაში. ასე რომ, არაგონელებმა ვალენსიაში „სიუტატ დე ვალენსიაზე" 2:1 მოიგეს.

– თუ ეს საქმე სასამართლომდე არ მივა, მაშინ არ ვიცით, რა შეიძლება იყოს თამაშის ჩაწყობის უფრო ნათელი მაგალითი, – აცხადებენ პროკურატურის წარმომადგენლები.

არაგონის მხარის პროვინციულმა პროკურატურამ უკვე მიაღწია მიზანს და მოსამართლე ისაბელ როდრიგესმა ეს სკანდალური საქმე თავიდან გახსნა.

პროკურატურაში დარწმუნებული არიან, რომ ორივე კლუბის ფეხბურთელები თანაბრად არიან დამნაშავენი ამ სკანდალში. პროკურატურის ინფორმაციით, საერთო ჯამში, მატჩის ჩაწყობაში გარეულ 35 ფეხბურთელს ელის ციხე და დისკვალიფიკაცია.

ისიც ცნობილია, რომ ესპანეთში 2 წლით და ნაკლებით მისჯილი ბრალდებულები ძირითადად არ მიდიან ციხეში, თუ ეს მათთვის პირველი შემთხვევაა ან თუ რამე სხვა დამამძიმებელი გარემოებები არ უწყობს ხელს ადამიანის დაჭერას. აი, სარაგოსას მაშინდელ თავკაც ხავიერ აგირეს კი საქმე სერიოზულად აქვს, რადგან მატჩის ჩაწყობაში ადრეც იყო ბრალდებული.

ციხე და დისკვალიფიკაცია ისეთ ფეხბურთელებს ემუქრებათ, როგორებიც ანდერ ერერა (მანჩესტერ იუნაიტედი), გაბი (ატლეტიკო) და ვისენტე იბორა (ლესტერი) არიან.

დავასრულოთ ჩისკოთი, რომელიც მაშინ ლევანტეს ღირსებას იცავდა...

## ორშაბათი 19 თებერვალი

**05.00, 15.00** ზამთრის **23-**ე ოლიმპიადა (პ/ე) **12.15, 18.20** ოლიმპიური გადაცემა. **12.50** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **13.30** დოკ/ფ "ალის პირისპირ" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.00** "მოამბე" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**მთელი სამეფოს ამალა**" (ჯ.ლოოუ) **00.20** ოლიმპიადა **04.00** პროფილაქტიკა

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.25** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" 5 სერ. **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **23.30** სერ. "**ღირსების საქ 2**" 1 სერ. **00.30** მხ/ფ "**უკანასკნელი რაინდები**" **02.20** მხ/ფ "**ველური თაფლი**" **04.55** მხ/ფ "**ცოფიანი ძაღლები**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.35** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედის კონცერტი **2014** (სრული ვერსია) **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00**, ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**GDS** **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-4**" **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" 7 სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები**" **17.00** სერ. "**ფარი 2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" 8 სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი**" 1-2 **00.30** მხ/ფ "**მღვდელი**" **02.10** მხ/ფ "**ილაის წიგნი**" **04.15** მხ/ფ "**სხვას გადაუხადე**" **06.20** მხ/ფ "**ჩემი პირადი აიდაჰო**"

**იბერია** **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 18.05, 19.50, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 00.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 3.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 01.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **20.00, 2.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი** **23.00** პანორამა

